# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 2010 წელი.

№186 (6552)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ერთი ოთახი – რუსეთი, მეორე – ამერიკა ③-④



რეპორტაჟი ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებიდან

## უშიშროებიდან მომავალი საშიშროება... ②

## რატომ ვემსგავსებით იმ კუს, რომელმაც ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო?



მსხვერპლშეწირვა ⑥

ვახტანგ ხმალაძე:

## საჭიროა, ქვეყანამ დროულად იცოდეს, როგორ საარჩევნო გარემოში მოუწევს ცხოვრება ⑤





## შენ ავლანეთს რა გინდოდა... ⑥

## რა მნიშვნელობა აქვს, რა ტერმინს ვიხმართ – ოკუპაციას თუ მცოცავ ანექსიას? ③

ჩვენი ხელისუფლება ყველა შემთხვევაში უძლურია



## გახსოვთ, „ჩელე“?

ადამიანი დროში ⑩

## თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მოსკოვი თბილისთან საუბარს არ აპირებს ⑧



## მომავალ ⑪ თაობას სათვალეები აღარ დასჭირდება?

## მოულოდნელი რაკურსით

**შევარდნაძის მმართველობის ხანაში უშიშროების მინისტრი შოთა კვირაია ოპოზიციური პარტიების სატელეფონო საუბრების მოსმენის ბრალდებას გადააყოლეს.**

**ერთი წლის წინათ სალომე ზურაბიშვილის ოფისში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატები („ჟუჩოკები") აღმოაჩინეს. თითქოს სკანდალი უნდა მომწიფებულიყო. „საქართველოს გზის" პროტესტს სხვა ოპოზიციური პარტიებიც შეუერთდნენ. გარკვეული მიზეზების გამო მალე ყველაფერი მიწყნარდა. ინერტული იყო საზოგადოებაც. როდესაც ყველა და ყველაფერი ისმინება, რა საჭიროა ალიაქოთი — იფიქრა ხალხმა. დაბნეულმა მერაბიშვილის უწყებამ კი მინისტრის მოადგილის ეკა ზღულაძის პირით გააკეთა განცხადება: მოსასმენები კახა თარგამაძის მინისტრობის პერიოდშია დამონტაჟებულიო(?!).**

**ჩვენი ხელისუფლებისთვის ყველაფერში მისაბაძად ქცეულ აშშ-ში, პრეზიდენტ ნიქსონს, იმპიჩმენტი გამოუცხადეს და გადააყენეს სწორედ ოპოზიციის ლიდერების ტელეფონების მოსმენის გამო.**

**წლეულს, 13 მარტს, „იმედის" საინფორმაციო პროგრამაში გავიდა ვრცელი სიუჟეტი საქართველოში რუსეთის შემოჭრის შესახებ. სატელევიზიო მასალას თან ახლდა ქვეყნის პრეზიდენტის სატელეფონო საუბრების აუდიოჩანაწერი. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ჩანაწერი ციფრული სტერეოფილია და ნამდვილია. ლინგვისტიკის სპეციალისტების დასკვნით, მონტაჟს ადგილი არ ჰქონია. გამოდის, რომ ყველაფერი სააკაშვილის მითითებით მოხდა. „ქრონიკაში" გასულმა მასალამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი შოკში ჩააგდო. პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.**

# უშიშროებიდან მომავალი საშიშროება...



### თვალთვალი, მოსმენები

**ოთარ მენაბდიშვილი, უშიშროების მაიორი:** „ხმის ჩამწერი თანამედროვე საშუალებებით ძალზე გამარტივებულია ელექტროაკუსტიკური მონტაჟი სხვადასხვა სახის სპეციალური სამონტაჟო საშუალებებით თანამედროვე ტექნიკური საშუალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ ფონოგრამის მონტაჟი და რედაქტირება ჩატარდეს ისეთი სიზუსტით, რომ ფაქტობრივად „გადასვლების" არანაირი კვალი არ დარჩეს. ამგვარად, მონტაჟირებული ფონოგრამის გადაწერა სხვა მატარებელზე თითქმის სრულიად ნიღბავს მონტაჟის კვალს. მტკიცებულებების მოპოვების ფალსიფიკაციის კოლოსალური შესაძლებლობაა ციფრული ჩანაწერით ფიჭვური კავშირგაბმულობის გამოყენება. ასეთი ფონოგრამების სასამართლო წარმოებაში მიღება, სწრაფად ექცევა ექსპერტების, გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების ყურადღების ქვეშ, რადგანაც ის ნივთმტკიცების ერთ-ერთი სახეა. რამდენადაც ფონეტიკური ნიშნები არსებითად მახინჯდება, ანუ თავისუფლად შეიძლება იმის გაკეთება, რომ ტელეფონში სხვადასხვა დროს ნათქვამი სხვადასხვა ფრაზა დამონტაჟდეს სხვადასხვა ფორმით და პირს, რომელსაც მსგავსი წინადადება, ფრაზა არასოდეს უთქვამს, თავისუფლად მიეწეროს.

ჩვენს დღევანდელობაში გამოძიებას, პროკურატურას და მის მონამორჩილ სასამართლოს არ აწუხებს მოსმენის ნამდვილობის შემოწმება.

სპეციალისტთა განმარტებით, ტოტალური თვალთვალი იმდენად ჩვეულებრივად არის აღქმული, რომ აღარავის უჩნდება კითხვა — ამაზე სასამართლო ნებართვა (თუნდაც ფორმალური) არსებობს? ამას ყველა შეეჩვია, რადგანაც სახელისუფლებო პროპაგანდისტული მანქანა მშვენივრად მუშაობს, სატელიტი ტელევიზიების სახით და მოსახლეობაც მისი გავლენის ქვეშაა მოქცეული.

ხელისუფლებამ თითქმის ყველა ადამიანი უშიშროების თანამშრომლად აქცია. იწერენ, იღებენ, აშუქებენ ყველა პროფესიის ადამიანები. ჟურნალისტ შალვა რამიშვილთან დაკავშირებით კი, როდესაც პარლამენტარი თვითონ ამონტაჟებს სამეთვალყურეოს, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

პროფესიონალები არ უარყოფენ, რომ მოსმენები, თვალთვალი აუცილებელია დანაშაულის გასახსნელად. მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ პროპაგანდისტული მანქანის მძლავრი ზემოქმედების შედეგად ყველას ავიწყდება იურიდიული მხარე — იყო კი ამაზე სასამართლო ნებართვა? „ნაცების" იდეოლოგიური მანქანა იმდენად ძლიერია, რომ ძნელია მის წინააღმდეგ მოძრაობა.

### ჩანერგვები

**არა მხოლოდ საქმეში ჩახედულები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც არ გამორიცხავენ, რომ სალომე ზურაბიშვილის ოფისში მომხდარი შსს-ს მიერ პოლიტიკურ ორგანიზაციაში „ჩანერგილთა" ნახელავია. ეჭვი საფუძვლიანია.**

შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში სპეციალურად არის შექმნილი პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობის სამსახური. ჩვენი რესპონდენტი, რომელიც ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობის ვითარებაში თავს იკავებს საჯაროდ ვინაობის დასახელებისგან, გვიხსნიან, რომ სამსახურის თანამშრომლებს პირდაპირ ევალებათ პოლიტიკურ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაახლოება. შემდგომ, მათ რიგებში სანდო პირების მოძიება და აგენტურული მუშაობის გაშლა, ნებისმიერი ინფორმაციის „ამოქაჩვის" მიზნით. პოლიტიკურ პარტიებში შეღწევის ძირითადი გზა, — გაწევრებაა. „შეღწეულებმა" უნდა გამოიჩინონ აქტივობა, მიიპყრონ ლიდერთა ყურადღება და გახდნენ აქტივის, ძირითადი ბირთვის წევრები.

ზეპირი ინსტრუქციით, როგორც ჩვენი ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველი პიროვნება გვეუბნება, გათვალისწინებულია მუშაობის შემდგომი მეთოდები: პარტიის წევრების გადმობირებასთან ერთად საჭიროა ისეთი კონტინგენტის შერჩევა, რომელიც საჭირო დროს რეზიდენტის მითითებით ორგანიზაციაში განხეთქილებას შეიტანს. ეს კი პარტიაში ბუნტს და საზოგადოების თვალში მის დისკრედიტაციას გამოიწვევს. ინსტრუქციით ახალ წევრს პარტიულებთან დაახლოების მიზნით ნება ეძლევა „პიკნიკების", საღამოების მოწყობისა. ამ კუთხით გაუთვალისწინებელ ხარჯებში გამოყოფილია 10-15 მლნ. ლარი.

გადმობირების პერიოდში არ არის გამორიცხული პროვოკაციების მოწყობა. პარალელურად მიმდინარეობს ოპოზიციონერთა ლიდერების თვალთვალი (მათ შორის ოჯახის წევრებსა და ახლობლებზეც), სატელეფონო მოსმენები.

ანალოგიური ვითარებაა პრესასთან ურთიერთობაშიც. იქ აქცენტი ძირითადად კეთდება ჟურნალისტთა ფულად წახალისებებსა და რაიმე შანტაჟის გამოყენებაზე. ამით უნდა გაირკვეს და შეგროვდეს ინფორმაციები შეკვეთილი წერილების, ჟურნალისტთა პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. როგორც ჩანს, „ვარდოსნებს" შეგნებულად არა აქვთ გამოყოფილი ტელევიზიებთან მუშაობის დანაყოფი. ეს სივრცე ხომ ისედაც მაგათია და მართვის სადავეებთან „ნაცების" ხელდასხმულები სხედან, — გვიყვება ჩვენი მოსაუბრე.

### აგენტი აგენტია, რა მნიშვნელობა აქვს ვისია

**მასმედიის საშუალებებში ხშირად გაისმის ხელისუფლების ლიდერთა გამონათქვამები — აგენტი, მოღალატე. საქმე ყოველთვის რუსეთს ეხება.**

**გაიოზ მელქაძე, ისტორიკოსი:** „თავის დროზე მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილი საჩინო ბარათაშვილმა კლდიდან გადაჩეხა. იმ პერიოდში მოღალატეები თავისუფლად ვერ დათარეშობდნენ. შავბნელ საქმეებს ხელისუფლების შიშით აკეთებდნენ. დღეს ხელისუფლება უცხოეთიდანაა ხელდასხმული. ყორღანაშვილები კი უშიშრად აკეთებენ თავიანთ საქმეებს.

ჩემთვის გაუგებარია, ერთი, უცხო სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი პიროვნება აგენტად, მოღალატედ გამოცხადდეს, ხოლო სხვა, ვინც ღიად აფიქსირებს აშშ-ს ერთგულებას და ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ ამ ქვეყნის დავალებებს ასრულებს — გმირად. აგენტი, ხომ აგენტია, რომელი ქვეყნისაც არ უნდა იყოს ის.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი საგულდაგულოდ დასდევენ რუსეთის აგენტებს, ბრიტანეთის დაზვერვა ოფიციალურად აცხადებს, რომ საქართველოში რფ-ის უამრავი აგენტია. ამის შესახებ „ბი-ბი-სის" ოფიციალურად განუცხადა სამეფო დაზვერვის უფროსის მოადგილემ ჯერი უორენმა.

ამავე სამსახურის ყოფილი უფროსი, სტივენ დანდერი აცხადებს, რომ რუსეთის აგენტურული ქსელის შექმნა საქართველოში, უპირველესად სოციალურ-ეკონომიკური, ფაქტობრივად სასამართლო ხელისუფლების არარსებობისა და, უპერსპექტივობის მიზეზია, დაზვერვის ყოფილი შეფი დასძენს, რომ აგენტების „ჩანერგვას" რფ ძველი, საბჭოთა მეთოდებით ახორციელებს.

ამ დროს კი ჩვენი სპეცსამსახურები „კუდიანების" დევნით არიან დაკავებულნი. ეს არ არის უცხო ქვეყნების აგენტურული ქსელის გამოსააშკარავებელი მუშაობა. ისინი ძირითადად ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებენ და სააკაშვილისა და მისი ელიტის მოწინააღმდეგეთა გამოვლენითა და ზოგჯერ განადგურებითაც არიან დაკავებულნი.

საზოგადოება (აღარაფერს ვამბობთ ოპოზიციაზე) დუმს, რადგანაც, როდესაც ადამიანი ცუდს ეჩვევა, ის მისთვის შემაძრწუნებელი და შემაწუხებელი აღარ ხდება.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### ავღანეთში დაღუპულ თანამემამულეთა უკვდავსაყოფად

**საქართველოს პრეზიდენტის 955-ე განკარგულებით ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს გარდაცვლილ სამხედროებს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენები მიენიჭათ.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, დაღუპულთა ოჯახებს თბილისში ისანი-სამგორის რაიონში ე.წ. „სამხედრო ქალაქის" ტერიტორიაზე ახალაშენებულ კორპუსში ბინებს გადასცემს. გარდაცვლილთა ოჯახები ასევე მიიღებენ კანონით გათვალისწინებულ სრულ სოციალურ პაკეტს.**

### ემზადებიან საშვიდოქტომბრო აქციისათვის




**პარლამენტის წინ, კონსერვატორიული პარტიის, ხალხის პარტიის, ასევე დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის გარე მოვაჭრეთა ლიგისა და საქართველოს პედაგოგთა ასოციაციის საგანგებო ბრიფინგი გაიმართა.**

**ბრიფინგზე 7 ოქტომბერს დადგეგმილი სოციალური სოლიდარობისა და პროტესტის აქციის შესახებ ისაუბრეს.**

**ბრიფინგის ორგანიზატორთა განცხადებით, აქციას შეუერთდებიან დევნილები, გარემოვაჭრეები, პედაგოგები, ექიმები, ბიბლიოთეკარები, ბაზრობებზე ვაჭრობით დაკავებული წვრილი მეწარმეები, პენსიონერები, ვეტერანები, ინვალიდები, მიწისძვრითა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროცესში არსებული დარღვევებისგან დაზარალებული პირები და სხვა მოქალაქეები.**

**— 7 ოქტომბერს მოვითხოვთ დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას თბილისის ნებისმიერ უბანში, გარევაჭრობის ცივილიზებული ფორმით განხორციელების უფლების დაკანონებას, პედაგოგთა მასობრივი განთავისუფლების პროცესის შეწყვეტას, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების მიერ წვრილი მეწარმეების უკანონოდ დევნისა და შევიწროების აღკვეთას და სხვა სოციალურად დაუცველ ინტერესთა ჯგუფების ძირითადი პრობლემების მოგვარებას, — განაცხადა კონსერვატორების ერთ-ერთმა ლიდერმა ლაშა ჩხარტიშვილმა.**

**როგორც ბრიფინგზე განაცხადეს, 7 ოქტომბრის აქციის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა პარლამენტის მიერ კონსტიტუციის სააკაშვილისეული პროექტის განხილვის შეწყვეტა იქნება.**

ჯი-ეიჩ-ენი

### ახმეტაში... სააკაშვილი დააპატიმრეს

**კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ახმეტის პოლიციის თანამშრომლებმა რთველით უკმაყოფილო გლეხი, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში მცხოვრები ოთარ სააკაშვილი დააკავეს.**

**ინციდენტი 2 ოქტომბერს მოხდა. თვითმხილველების განცხადებით, ქისტაურში მყოფ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა მაისურაძეს მევენახემ უთხრა, რომ „ბადაგონის" ღვინის ქარხანაში ყურძენს არ იღებდნენ, რაც გამგებელმა უარყო და გლეხს პროვოკატორი უწორდა.**

**თვითმხილველების თქმით, გამგებელმა ამის შემდეგ გლეხს შეაგინა და მას მთავრობის მტერი უწოდა, რასაც შელაპარაკება მოჰყვა. შელაპარაკების შემდეგ ახმეტის პოლიციის თანამშრომლებმა ოთარ სააკაშვილი დააკავეს. ახმეტის პოლიციაში ოთარ სააკაშვილის დაკავების ფაქტზე კომენტარი არ გააკეთეს. საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ახმეტის პოლიციის უფროსი ზურა ფილაშვილი რაიონის გამგებლის კობა მაისურაძის დისშვილია.**

**თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნათელა ჯაშიაშვილმა ოთარ სააკაშვილს ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ოთარ სააკაშვილის დაკავებასთან კავშირს უარყოფს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა მაისურაძე. მისი თქმით, ის ქისტაურში ნამდვილად იმყოფებოდა. თუმცა გლეხის დაკავების შესახებ ინფორმაცია არა აქვს.**

ინტერპრესნიუსი

## განათლება

# ვის დაენიშნება 200-ლარიანი სახელფასო დანამატი?

**პედაგოგები, რომლებიც ინგლისურისა და კომპიუტერის კურსების გამოცდას გაივლიან, პრეზიდენტის ინიციატივით 200-ლარიანი სახელფასო დანამატი დაენიშნებათ.**

— წელს სერტიფიცირება გაიარა 1300 პედაგოგმა, რომელთა ხელფასიც 75-ლარიანი დანამატით გაიზრდება. 2014 წლამდე პედაგოგების სასერტიფიკაციო გამოცდები ნებაყოფლობითი იქნება, ხოლო შემდეგ უკვე სავალდებულო გახდება. იმ პედაგოგების ხელფასი კი, რომლებიც კომპიუტერის და ინგლისური ენის ელემენტარულ ცოდნას გამოამჟღავნებენ და გამოცდას გაივლიან, პრეზიდენტის ინიციატივით, 200 ლარით გაიზრდება, — აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

მისივე თქმით, ინგლისური ენისა და კომპიუტერის გამოცდები 2011 წლის თებერვალ-მარტში გაიმართება და მონაწილეობის მიღების მსურველებმა რეგისტრაციისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა მიმართონ.

ჯი-ეიჩ-ენი

შიდა ქართლი

*შიდა ქართლში მივდივართ. ავტობანი უკვე გორამდეა მისული და ვარიანის გადასახვევამდე მისასვლელად ნახევარი საათიც გვყოფნის. გულწრფელად ვფიქრობ, მართლა საოცარი გზაა, ისეთი, უცხოეთის ქვეყნებში რომ მინახავს...*

*როგორც კი ნიქოზისკენ გადავუხვიეთ, გზა დავიწროვდა და ალაგ-ალაგ „დაკერებული“ გახდა. პირველი, რასაც ამ გზაზე გადავეყარეთ, შინაგანი ჯარის ჯავშანტექნიკაა. ნათელია, კონფლიქტის ზონა იწყება და ზღაპარიც ამ გადასახვევთან მთავრდება.*

# ერთი ოთახი – რუსეთი, მეორე – ამერიკა

## რეპორტაჟი ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებიდან



ზემო ნიქოზის ასასვლელში საგუშაგოზე გვაჩერებენ და გვეკითხებიან, ვინ ვართ და სად მივდივართ. ვპასუხობთ, რომ თბილისიდან ვართ და ნიქოზში მივდივართ... გვიშვებენ...

ზემო ნიქოზში ტაძართან ვჩერდებით. პირველივე შემხვედრს ვეკითხებით, როგორ არის საქმე. აშკარად ჩანს, აქაურები ისეთი მონატრებულები არიან ამ კითხვას, რომ თავის გასაჭირს ძალდაუტანებლად და დაწვრილებით ყვებიან.

60 წლის ნელი ლომსაძე ამბობს, რომ ახლახან დაბრუნდა გორიდან, სადაც პომიდორი, მწვანილი და პირველადი მოხმარების ნივთები შეიძინა. მიკვირს, ნიქოზელებს გორში პომიდვრისა და მწვანილის საყიდლად რა გინდათ-მეთქი?

„ჩვენი ბაღები იქით მხარეს დარჩა და ვერ შევდივართ. ნიქოზში სამი წელიწადია, წყალი არ ყოფილა, დავთესეთ, მაგრამ ერთი გრამი არაფერი მოვიდა. ახლა სოფლის მოსახლეობა უმუშევრად ვართ. 47 დაჭრილ ჯარისკაცს ვუვლიდი ომის დროს, შვილო. სახლში მყავდნენ, ზოგს სად ვპოულობდი და ზოგს სად... ერთ საღამოს არხზე წავედი, ბიჭებს სასმელი წყალი ამოვუტანო-მეთქი და ჩვენი ჯარისკაცი დამხვდა არხში გულაღმა ჩავარდნილი. ცოცხალი იყო. ზურგზე ხელები ჩამჭიდე, აქ არ დაგტოვებ-მეთქი. 38 კილო მარტო „ბრონეჟილეტი“ ეცვა. ახლაც არ მახსოვს, ზურგზე როგორ მოვიკიდე და სახლამდე მოვათრიე. ბიჭებმა იარაღი დაგვიმიზნეს, ღამე იყო და ვერ გაარჩიეს, ვინ ვიყავით“...

ქალბატონ ნელის სახლში მივყავარ, უნდა მაჩვენოს ლოგინი, სადაც დაჭრილი ბიჭები იწვნენ და სისხლი დღემდე არ მოსცილებია. უხმოდ მივყვები. მის სახლს, ისევე, როგორც ამ მხარეში სახლების უმეტესობას, ომის დროს ჭურვი მოხვედრია. სახურავი გაუკეთეს, ეგ იყო და ეგ... ეზოში მასპინძლის ვაჟი გვხვდება, უდროოდ დაბერებული ახალგაზრდა..

„ისეთი ნევროზი აქვს, შვილო, ეზოდან ვერ გადის. ომში იყო. ახლა სახლში ზის, არც სამსახური, არც მიწა დასამუშავებელი, ზის და ფიქრობს.. არც ჩემი ქალიშვილი მუშაობს. ასე ვართ, ღვთის ანაბარა. ამ კუთხის პატრონი კაცი არაა. გამგებელი ჩვენ არ გვინახავს და დეპუტატი, არც არავინ კითხულობს, როგორ ვართ, რით ვარსებობთ. სახლები იმათ გაუკეთეს, ვინც ამათთანაა, ამათთან ტრიალებს, ვისაც ჰქონდა იმის უნარი, რომ ებრძოლა. ვინც ხმა ვერ ამოვიღეთ, ასე ვცხოვრობთ, შვილო. სახლი თითქმის თავიდან არის ასაშენებელი. მხოლოდ სახურავია ახალი“, – ამბობს ნელი ლომიძე და წუხს, ასე დახვედრა კი არ გეკადრება, შვილო, მაგრამ რა ვქნათ, არ იფიქროთ სოფელში ცხოვრობენ და უზრდელები არიანო... ძლივს ამოვიღე ხმა, რას ბრძანებთ-მეთქი.

მთხოვა, მეზობელს, ხუთშვილიან დედას ველაპარაკო. ნინო ახალგაზრდაა, 33 წლის არის, ხელში ერთ წლამდე ბავშვი უჭირავს, კალთაზე ორი პატარა ებღაუჭება. სულ ხუთი შვილი ჰყავს, უფროსი - მეხუთეში, მეორე – პირველ კლასში. სოციალურად დაუცველი ოჯახია.

„წესით სასკოლო წიგნები საჩუქრად უნდა მიგველო, მაგრამ არც პირველკლასელისთვის მიუციათ და არც მეხუთეკლასელისთვის. დირექტორმა პასუხიც არ გაგვცა წესიერად. მე არაფრის ყიდვის საშუალება არ მაქვს. ერთ რვეულს 4 ლარი უნდა. საიდან უნდა მოვიტანო ამდენი?! საჭმლის ფული არ გვაქვს და სკოლის წიგნები რომ ვიყიდო, ხუთ შვილს რაღა ვაჭამო. ზარმაცები კი არ ვართ, ვერ ვმუშაობთ, ჩვენს ბაღებში ვერ შევდივართ. ბავშვები შიში ცხოვრობენ, წუხელ ისეთი სროლის ხმა ისმოდა, ყველა ფეხზე წამოხტა. ხომ გესმით, როგორი ბათქაბუთქია?!“

აფეთქებების ხმა 10 წუთის ინტერვალით ისმის და მიწა ზანზარებს – თამარაშენსა და კეხვში რაღაც წვრთნები ტარდება. ჩვენს შეკითხვაზე ადგილობრივები გვიპასუხებენ, რომ ისინი უკვე შეჩვეულები არიან.

„ეს რა არის, შვილო, ხანდახან რომ მთელი ღამე ისვრიან. ხალხს უკვე შიშისგან გული აქვს გახეთქვაზე. დანევროზებულია მთელი მოსახლეობა. სიმსივნიანი ავადმყოფები მოგვიმრავლდნენ. ჩვენი პატრონი არ ჩანს. ერთადერთი მეუფე ისაია გვყავს. ისაა ჩვენი მშველელი, ომის დროს და ახლაც ყველაფრით გვეხმარება“, – მეუბნება კიდევ ერთი ადგილობრივი თამარ კობერიძე.



იხ. 4 გვ.

SIC!

**მოგებული საინფორმაციო ომის კვალობაზე ერთობ საცოდავად გამოიყურება ქართული მხარე. აგვისტოს პროვოკაციულმა მოვლენებმა შედეგად დაგვიტოვა აუნაზღაურებელი მსხვერპლი, დაკარგული ტერიტორიები და ფსიქიკამოშლილი საზოგადოება. რა მნიშვნელობა აქვს, რა ტერმინებს გამოვიყენებთ ქართველი ჟურნალისტები – სამაჩაბლოს თუ ე. წ. სამხრეთ ოსეთს, ოკუპირებულ ტერიტორიას თუ სეპარატისტულ რეგიონებს, საქმე ისაა, რომ ეს მონაკვეთი დავკარგეთ, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც.**

ოცი წელიწადია საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არსებობს, თუმცა მეზობელ რესპუბლიკებთან საზღვრის დემარკაციის პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. ტერიტორიებზე დავა გვაქვს არა მარტო მტრად შერაცხულ რუსეთთან, არამედ მეგობარ სომხეთთან და აზერბაიჯანთან. საკითხის სირთულიდან გამომდინარე საგარეო უწყება მკვეთრი ნაბიჯებისაგან თავს იკავებს, ხოლო გაუთავებელი დიალოგის გზა უსასრულოა. ამდენად, დღემდე არ ვიცით, კონკრეტულად სად გადის საქართველოს საზღვარი აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით.

# ტერიტორიებს ისევ ვკარგავთ. რა მნიშვნელობა აქვს, რა ტერმინს ვიხმართ – ოკუპაციას თუ მცოცავ ანექსიას?

## ჩვენი ხელისუფლება ყველა შემთხვევაში უძლურია

სამაგიეროდ, რეალურად, მოგებული ომის შემდეგ, საკუთარი ტერიტორიის დაკანონება და საზღვრების დემარკაცია დაიწყო სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ და „სახელმწიფოს“ უმთავრეს „ატრიბუტიკას“ თავის სახელს დაარქმევს.

29 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დანაყოფებმა დაიწყეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის დემარკაცია ქვემო და ზემო ნიქოზში, დიცში, არბოსა და ქორდში. ნიქოზის 25 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიიტაცეს, დიცში სამი ოჯახის სახლები, საძოვრები, სარწყავი არხი და ჭაბურღილი რუსეთის მხარეს აღმოჩნდა. რუსებმა არმატურის ძელები ჩაარჭვეს და მავთულხლართები გაავლეს. დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის მოადგილემ მერაბ ჩიგოევმაც დაადასტურა, რომ ცხინვალმა დაიწყო საზღვრის დადგენის სამუშაოები (ესეც შენი სეპარატისტული მთავრობა!ძ.

მართალია, ქართველმა პოლიციელებმა ეს ამბავი შენიშნეს, მაგრამ რეაქცია იყო ნული, თუ არ ჩავთვლით ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციას. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას კი საზღვრის გადმოწევის ფაქტი არც შეუნიშნავს. საგარეო საქმეთა სამინისტროც იმთავითვე მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ქმედებებს პროვოკაციული უწოდა და რუსეთს მკაცრი ტონით მოსთხოვა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, თანაც საერთაშორისო თანამეგობრობას სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდა. მსგავს მოწოდებებს რა შედეგი მოჰყვება ხოლმე, ყველამ კარგად იცის. თითქმის არავითარი, მაგრამ საგარეო უწყებას ამაზე მეტი სხვა რა შეუძლია?!

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! სულ ეს არის?! ადამიანებს საკუთარ სახლ-კარს ართმევენ, სახნავ-სათესს, საძოვარს არ უტოვებენ, თანაც არა ხმაურით, ომით, არამედ ჩუმად, ვითომც აქ არაფერიაო. კაი დედიშვილია ქართული სასაზღვრო პოლიცია, ხმა ამოიღოს, რამე გაბედოს. მით უფრო, რომ მერაბიშვილს დაქვემდებარებული ამ უწყების რეალური დე იურე საზღვარი კავკასიონზე გადის და არავითარ შიდა საზღვრებს არ სცნობს (კავკასიონზე ხომ ნუ იტყვი, სულ კუდით ქვა ასროლინა რუსებს, როცა საზღვარი რამდენიმე მეტრით ასევე უმტკივნეულოდ გადმოსწიეს მამისონის უღელტეხილზეძ.

საგარეო უწყება, მართლაც, რომ ერთობ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მერაბ ჩიგოევის თქმით, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ საზღვრის ერთობლივი დემარკაციის წინადადებით მიმართა ქართულ მხარეს, მაგრამ მათ რეაგირება არ მოუხდენიათ. ამიტომაც სეპარატისტებმა ყოფილი ავტონომიური ოლქის რუკა აიღეს და ძველი ადმინისტრაციული საზღვარი მონიშნეს.

მონიშნეს და მონიშნეს. ნიქოზისა და ხვითოს მოსახლეობა საკუთარ მიწას, დაახლოებით 300 ჰექტარს აქამდეც ვერ ამუშავებდა იმის გამო, რომ იქ რუსული საგუშაგოა და უსაფრთხოების გარანტია დაცული არ არის.

ოსი სეპარატისტები კი ირწმუნებიან, რომ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვარი არსებობს, რომელიც უკვე დაარღვია ხუთმა მოქალაქემ. გუშინ მამაკაცი დააკავეს, რომელსაც პირადობის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა, თუმცა აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეა. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა დღე ელოდება ამ ადამიანს იმის გამო ,რომ საკუთარ სახლს სულ რაღაც 300 მეტრით დაშორდა, თუმცა „სხვა სახელმწიფოში“ აღმოჩნდა.

ქართული მხარე რომ ასეთ შემთხვევაში აბსოლუტურად უძლურია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ ძალიან დამამცირებელია ის გარემოება, „ძლევამოსილ ქართულ სახელმწიფოს“ ინფორმაციის სისწორის გადამოწმებასაც რომ სთხოვენ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განმარტა, რომ ევროკავშირის წარმომადგენლებმა აზომვითი სამუშაოები უკვე დაასრულეს სოფელ დიცში და ოფიციალურად დაასტურეს, რომ რუსმა ოკუპანტებმა საზღვარი მართლაც გადმოწიეს. ევროკავშირის მონიტორები აზომავენ ტერიტორიებს სხვა სოფლებშიც. თუმცა დაადასტურებენ თუ არა მიტაცების ფაქტს, ჯერ არ ვიცით(!ძ.

სანამ საგარეო უწყება ამ საკითხებზე ოფიციალურ კომენტარს გააკეთებდა, ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციისგან მოვითხოვეთ ინფორმაცია, თუმცა როგორც პრესცენტრის ხელმძღვანელმა თეა პატეიშვილმა განაცხადა, ეს საკითხი თურმე მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეროგატივა ყოფილა. „ჩვენ უწყებას ეხება მხოლოდ მწვანე ზოლი და საზღვაო აკვატორიაო“. მართალი გითხრათ, ვერაფერი გავიგეთ, რატომ არ ეხება სასაზღვრო პოლიციას ეს საკითხი, როცა ამ უწყებაში საზღვრების მონიტორინგის სამსახურიც არსებობს? მოკლედ, საზღვრის დემარკაციის თემა ვაშაძის სამინისტროს თავსატეხი ყოფილა. ახლა ეს უწყება მხოლოდ ევროპელი მონიტორების იმედად არის დარჩენილი. ამასობაში კი რუსი ოკუპანტები თუ ოსი სეპარატისტები თანდათანობით კიდევ უფრო კვეცენ ქართველების კუთვნილ ტერიტორიებს. გინდათ უხმაურო ოკუპაცია უწოდეთ, გინდათ მცოცავი ანექსია. ან კი რა მნიშვნელობა აქვს, რა დოკუმენტს დადებენ მონიტორები, საერთაშორისო თანამეგობრობა რა ტექსტს მიიღებს, ფაქტია, რომ ტერიტორია დაკარგულია, ადამიანთა საცხოვრისი, სახნავ-სათესი და საძოვრები მითვისებული. იძახე შენ, უკანონოდ, რუსეთი ერთხელ მითვისებულს უკან თითქმის არასოდეს აბრუნებს. მთავარი ისაა, რომ საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო... თორემ ჩვენი ხელისუფლება ხელფეხშეკრული რომ ჰყავს რუსულ „დიპლომატიას“, აქამდეც გასაგები იყო. ესეც, ჩვენი მოგებული საინფორმაციო ომი. დიახ, ყველამ იცის, რომ რუსეთი ოკუპანტია, მერე რა?!..

**თეა მოსია**

შიდა ქართლი

# ერთი ოთახი – რუსეთი, მეორე – ამერიკა

(მესამე გვერდიდან)

ზემო ნიქოზში იმედი აბსტრაქტული ცნება არ არის, აქ იმედს კონკრეტული სახელი აქვს და მეუფე ისაია, ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსი ჰქვია.

თუ ამ მხარეში ვინმეს წამალი, მცირე ფინანსური დახმარება, უკიდურესი გაჭირვების დროს საჭმელი სჭირდება, მეუფე ისაიასგან იღებს. მეუფეს არც ომის დროს და არც ომის შემდეგ ერთი წუთითაც არ დაუტოვებია აქაურობა და დღეს ნიქოზელთა და ქართული სოფლების მოსახლეობის ერთადერთი ხორცშესხმული ნუგეშია. ამას ყველა იმ ადამიანის სახელით ვამბობ, ვისაც ოთხ სოფელში შევხვდით და ვისგანაც მეუფე ისაიასადმი ნათქვამი მადლიერი სიტყვა მოვისმინეთ.

ზემო ნიქოზელებს ვთხოვთ, ის ადგილი გვაჩვენონ, სადაც ოსებმა, თუ რუსებმა საზღვარი გადმოსწიეს. ადგილობრივებმა გვითხრეს, რომ ასეთი ფაქტი ზემო ნიქოზთან არ ყოფილა, ქვემო ნიქოზში მომხდარა, მაგრამ ჩვენს საგუშაგოსთან მისვლა მაინც გვირჩიეს.

საგუშაგოსთან მივედით, მესაზღვრეები გულღიად შეგვხვდნენ. ერთადერთი, რაც გვთხოვეს, არც მათთვის და არც საგუშაგოსთვის ფოტო არ გადაგვეღო. თხოვნას ვუსრულებთ. გორელ მესაზღვრეს საგუშაგოს სათვალთვალო „ფანჯარასთან“ მივყავარ.

„ცხინვალი არ გაინტერესებს? ხელისგულივით ჩანს“. მართლა ხელისგულივით ჩანს. სახლები გადაუხურავთ, გარკვეული ნაწილი აღუდგენიათ კიდეც. თავად ქალაქისთვის კი დაახლოებით 5-მეტრიანი მიწაყრილი შემოუვლიათ. ჩემი მეგზური ამბობს, რომ მათი საგუშაგოს მიმართულებით პროვოკაციები თითქმის არ არის. „აქეთ არ ისვრიან. ახლა წვრთნები აქვთ და თამარაშენსა და კეხვში ვარჯიშობენ. ეს აფეთქებებიც იქიდან ისმის“..

* * *

ქვემო ნიქოზში გზაზე ვჩერდებით, გამვლელებს ვთხოვთ, გვაჩვენონ სად არის ტერიტორია, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მიიტაცეს. გაჩერებასთან ერთი მამაკაცი და დედა-შვილი დგანან. მამაკაცმა გვითხრა, საითაც უნდა წავსულიყავით და გვთხოვა, მისთვის ფოტო არ გადაგვეღო. გოგონა უფრო აქტიურია და უფრო მეტ ინფორმაციას გვაძლევს, რის გამოც დედისგან შენიშვნას იღებს... აშკარაა, ამ სოფლებში შიში დიდი თვალებით გვიყურებს...

ქვემო ნიქოზის ცენტრისკენ მივდივართ. სოფლის ცენტრში ემზარ სულუაშვილი გვხვდება, რომელიც მომხდარის თვითმხილველი აღმოჩნდა.

„იარაღით გადმოვიდნენ ოთხნი. ორი „გრაჟდანი“ იყო და ერთი ქალი. მიწის საზომით ზომავდნენ. ფორმიანები იყვნენ, რუსები თუ ოსები ვერ გავარჩიეთ. ჩვენი ბაღები აზომეს და ლიახვის პირის ჩაყოლებაზე სოლები ჩაასვეს. ეს ამბავი გუშინწინ მოხდა, მას შემდეგ ბაღებში აღარ შევსულვართ“, – ეს ერთადერთი განმარტებაა, რომელსაც ამ სოფელში ვიღებთ და გზას დიცისკენ ვაგრძელებთ.

* * *

დიცში ქართულ საგუშაგოს გვერდი ავუარეთ და სოფლის ბოლოსკენ, ერედვის მიმართულებით წავედით. მძინარაშვილების უბანში პირველივე მოსახლეს ვთხოვეთ, „ახალი საზღვრისკენ“ წავეყვანეთ. 50 წლის რამაზი უყოყმანოდ მოგვყვება. ისიც თვითმხილველია...

„ორი დღის წინ იყვნენ გადმოსულები. „ურალის“ მარკის მანქანით შვიდნი შემოვიდნენ, სამი გოგო იყო, ერთს თეთრები ეცვა. საზღვრის ქვემოთ ჩამოვიდნენ, რაღაცები მოზომეს, არმატურები ჩაარჭეს და რიყის ქვები შემოაწყეს. მთელი მინდვრები დასერეს, ზოგან სამასი მეტრი, ზოგან 100, ზოგან მეტი. ჩვენი სასმელი და სარწყავი წყლის არხები და ბაღებზე გადასასვლელი გზაც მოიყოლეს. ჩვენი პოლიცია დგას, რა უნდა ქნას. ისინი იარაღით ჩამოდიან, ესენიც რომ იარაღით დახვდნენ, ომი დაიწყება. მთავრობის დონეზე უნდა ამ საკითხს გადაწყვეტა. არადა, რა გინდა რომ ქნა. ამ სოფელში ბერუაშვილების ექვსი ოჯახი მოყვა იმათ ახალ საზღვრებში“, – ამბობს.

ჩემი მეგზური შორს, იმ ექვსი ოჯახიდან ერთ-ერთის უფროსს ხედავს და ეძახის. მაღალი, გამხდარი კაცი გვიახლოვდება. ძალიან ნერვიულობს და პირველი, რასაც გვთხოვს, არ უნდა გადავუღოთ. ჩემი კოლეგა მზია საგანელიძე ფოტოაპარატს მხარზე იკიდებს, ამ კაცის წყენინებას არც ფიქრობს.

„ნუ გადამიღებთ. ჩვენ ისეთ ადგილას ვართ მოყოლილები, რომ შეიძლება, ამაღამ მოვიდნენ და ყელი გამოგვჭრან. ჩვენი მშველელი არავინ იქნება... იმ დღეს მოვიდნენ. ერთ ოჯახს სახლი ისე გაუყვეს, ერთი ოთახი ჩვენსკენ დარჩა, მეორე თავისკენ მოაქციეს, თანაც დაგვცინეს - აქეთ რუსეთი იქნება, მაქეთ ამერიკაო. მართლა რომ ასე გაიაროს საზღვარმა, რა გვეშველება“?....

ჩვენს გარშემო თანდათან ადგილობრივი მოსახლეობა იკრიბება – მოხუცი პედაგოგი ქალი, რომელიც სოფლის განაპირას ცხოვრობს და სახლი ოსებმა გადაუწვეს; ამავე უბნის მცხოვრები შუახნის მამაკაცი და ერთიც მოხუცი პაპა...

მოხუცი პედაგოგი ქალბატონი გაჭირვებულ ყოფასა და იმაზე ჩივის, რომ ხალხს სოფელში შერჩევით ეხმარებიან – „არასამთავრობოების ის გვწყინს, შვილო – ერთეულებს აძლევენ ძროხებს, ქათმებს... დიცში ყველა გაჭირვებულია. 15 ქათამს რომ ერთს აძლევენ, ორ-ორად გაყონ და სხვებსაც მისცენ. ზოგი ინვალიდიაო, ზოგი პატარა ბავშვიანიო... არც ინვალიდი მყავს და არც პატარა ბავშვი, მაგრამ სახლი გადამიწვეს. 40 წლის ნაწვალები ქონება ერთ საათში გადამიწვეს. გაჭირვებული მქვია, აბა, რა მქვია. გამგებელი ამბობს, თქვენი ამბავი არ მეხებაო და აბა, რა ვქნათ შვილო, ვილას მივმართოთ?!“..

იმის ახსნას, რომ გამგებელს მათი პრობლემა პირდაპირ ეხება, ვერ ვახერხებ. შუა ხნის მამაკაცი, რომელსაც ასევე არ სურს ვინაობის გამხელა, განუკითხაობისა და უყურადღებობის გამო ჩივის – „საერთოდ არავის ვახსოვართ. არც ადგილობრივ მთავრობას, არც გუბერნატორს. პრეზიდენტს ეს ტერიტორიები რამდენი ხანია, არც უხსენებია. ცოცხლები ვართ, თუ მკვდრები, არავინ გვკითხულობს. თუ ასე გაგრძელდა, ყველას სოფლის დაცლა მოგვიწევს. როცა ბრძოლა იყო, ბოლომდე ვიბრძოლე, სამშობლოსთვის არ მიღალატია. ახლა რაღა ვქნათ, რომ ამას არც ომი ჰქვია და არც მშვიდობა. გინდ აქ მოვმკვდარვარ მშიერი და გინდ ქალაქში. შიშში მაინც აღარ დავიძინებთ. ხომ გესმით აფეთქებების ხმა. ასეა მუდამ“.

აფეთქებების ხმას უკვე შევეჩვიე. შევეჩვიე იმასაც, რომ ყოველ 10 წუთში ერთხელ მიწა ზანზარებს და ყურები მიგუბდება...

„ორჯერ ვიყავი აქედან ერედვში ასული ღამით წყლის გამოსაშვებად. წყალს ჩუმად ვუშვებთ ხოლმე დილამდე, სანამ შეამჩნევენ, იქნებ იდინოს და მორწყვა მოვასწროთ. თუ დაგვიჭირეს, წასულია ჩვენი საქმე“, – ამბობს შუახნის მამაკაცი.

ჩემი უზადრუკი თანაგრძნობა რომ დავმალო, მანქანაში ვჯდები. ვიდრე ქორდისკენ მივდივართ, ის სურათი არ მცილდება – როგორ გადადიან დიციდან გაპარტახებულ ერედვში წყლის გამოსაშვებად ქურდულად ქართველები... მალვით მიიპარებიან საკუთარ მიწაზე, საკუთარი სიცოცხლის ფასად...

* * *

ქორდისკენ ქართული საგუშაგოს გავლით მივდივართ. საგუშაგოზე გვეუბნებიან, რომ პირდაპირ უნდა ვიაროთ. თუ შეგვეშალა და მარჯვნივ გადავუხვიეთ, სადაც ახალა „ისინი“ საზღვარს აშენებენ, „ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“.

ჩვენც პირდაპირ სოფლის ცენტრში მივდივართ და აქაც იგივეს ვითხოვთ, რასაც დიცში – იმ ადგილების სანახავად თუ წაგვყვება ვინმე, სადაც „ახალი საზღვრები“ მონიშნეს... სოსო ჯალაბაძე უყოყმანოდ გვთანხმდება. ჯერ მანქანით მივდივართ, ხეხილის ბაღებზე გზას ფეხით ვაგრძელებთ.

სოსო იმავეს გვეუბნება, რასაც მთელი დღეა, ვისმენთ, რომ მოსავალი, რაც გლეხს უნდა მოეყვანა, არ მოსულა.

„ამ სოფელზე 30 ათასი ევრო იყო გამოყოფილი. საერთოდ არაფერი გაკეთებულა. ერთი სპორტდარბაზი, თუ რაღაც უნდა აშენდეს და არც ის დასრულებულა. ხალხი განერვიულებული და გამწარებულია. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვართ, წყლის ფულს ვიხდით, შუქის ფულს ვიხდით, არანაირი შემოსავალი არ გვაქვს. ზამთარიც მოვიდა, არც შეშაა.. ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს არავის მიაქვს. თუ ასე გაგრძელდა, თუ ეს საზღვრებიც ჩამოწიეს, სოფელი დაიცლება“...

როცა შიდა ქართლში მივდიოდი, სულ ვფიქრობდი, რომ ამ ხალხს მადლობას ვეტყოდი, რომ აქ არიან; არ ტოვებენ აქაურობას და ჩემთვის ნამდვილი გმირები არიან. ახლა ამის თქმა ძალიან მიჭირს. მე თბილისში ვცხოვრობ, მშვიდად მძინავს, დღე და ღამე აფეთქებების ხმა არ მესმის, დაბინდების არ მეშინია... მრცხვენია ჩემი მშვიდი ცხოვრების გამო...

სოსო კი თხრობას განაგრძობს – „აქ ერთი ჩვენი სოფლელი კაცის ბაღია. ხუთი ჰექტარია მიზომილი. იმ დღეს „ბეტეერით“ ჩამოვიდნენ და ზომავდნენ. მარტო არბოსა და ქორდის ტერიტორიაზე 50 ჰექტარი მიიზომეს. ამ საზღვრებს რომ ჩამოწევენ, ამ ბაღებსაც დავკარგავთ, სადაც ახლა ვდგავართ“.

ჩვენ ზედ „ახალ საზღვარზე“ ვდგავართ, ერთი ხელის გაწვდენაზე გადამწვარი ერედვია, უფრო შორს – ფრისი. კარგად ვარჩევთ ნასახლარებზე ამოსულ ხეებს. სახლები ჩაკარგულა და ჩანაცრულა. ჩვენგან ხელმარჯვნივ არბოს წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათი ჩანს, მის პირდაპირ კი – ახალი რუსული სამხედრო ბაზა...

„რუსები ჩამოდიან ძაღლებით, ერთიც ოსი ახლავთ ხოლმე და ამ ტერიტორიას ამოწმებენ. იქეთ რომ დაგიჭირონ, ოსებს გადაგცემენ და ცხინვალში ჩაგიყვანენ... გულწრფელად რომ გითხრათ, ექვსი ავტომატიანი კაცი რომ გადმოვიდეს ამ ორ სოფელს, არბოსაც და ქორდსაც წინ გაირეკავს და კაციშვილი ჩვენი მშველელი არ იქნება“, – ამბობს სოსო...

ყელში გაჩხერილ ბოღმას ძლივს ვყლაპავ. მეგზურს მადლობას ვუხდით, მშვიდობას ვუსურვებთ...

უკვე ბნელდება და უკან ვბრუნდებით. თან აფეთქებების ხმა მოგვდევს. ქართულ საგუშაგოს ვცდებით, ხმაც და ნაომარი სოფლებიც ნელ-ნელა უკან გვრჩება. წინ ახალი ავტობანი ჩანს განათებული, თანამედროვე, ისეთი – როგორიც უცხოეთის ქვეყნებში მინახავს.

**მარიამ სხილაძე**





ინფორმაცია

## საქართველო რუსეთის მიმართ პრინციპულ პოზიციას იჭერს

**საქართველო რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებას მხარს მანამდე არ დაუჭერს, სანამ არ იქნება შესრულებული ის პირობები, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აყენებს, — ასე უპასუხა შეკითხვას საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**პრეზიდენტის პრესსპიკერმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პოზიცია გააჟღერა და აღნიშნა, რომ ეს არის საბოლოო პოზიცია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას და ასევე პრეზიდენტს აქვს.**

**— საქართველოს ხელისუფლების პოზიცია უცვლელია. საქართველო ვერ დაუჭერს მხარს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას მანამდე, ვიდრე არ იქნება შესრულებული ის პირობები, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აყენებს. მათ შორის ეს ეხება საბაჟო გამშვები პუნქტების თემას და იმ საკითხების მთელ სპექტრს, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს, — აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.**

## რით ვერ დამთავრდა ეს ხელშეკრულებები?

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან საბაჟო საქმეებში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**

**მათივე ინფორმაციით, მედვედევმა ასევე ნება დართო რუსეთის ფედერალურ საბაჟო სამსახურს მითითებულ შეთანხმებებში ხელის მოწერის დროს მასში რუსეთის მთავრობის მიერ მოწონებული პროექტები ჩართონ.**

## დააააკავეს იარაღის გამსაღებლები

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად, დააკავეს წარსულში ნასამართლევი დათო მიკიჩაშვილი და ალიოშა მირზაბეგოვი.**

**ისინი უკანონოდ ინახავდნენ დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლ იარაღს და საბრძოლო მასალას. ასევე, ასაღებდნენ მას ცალკეულ მოქალაქეებზე.**

**ამოღებულია რამდენიმე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.**

**დანაშაული ითვალისწინებს 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.**

## ანქვაბი კვლავ მწყობრშია

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგა. აფხაზური მედიის ინფორმაციით, თავად ანქვაბი აცხადებს, რომ იგი თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობს.**

**შეგახსენებთ, რომ სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტზე თავდასხმა მიმდინარე წლის 23 სექტემბერს მოხდა. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, ნათესავის სახლს, სადაც ბოლო წლებია ანქვაბი ცხოვრობს, ყუმბარმტყორცნიდან ესროლეს. ალექსანდრე ანქვაბი ფეხში დაიჭრა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ცვლილება საარჩევნო კოდექსში

# „საჭიროა, ქვეყანამ დროულად იცოდეს, როგორ საარჩევნო გარემოში მოუწევს ცხოვრება“



## გვექნება თუ არა სამართლიანობის შესაბამისი კანონი?

***...წესით უნდა გვქონდეს. სამწუხარო იქნება, თუ რვა პოლიტიკური პარტიის მუშაობა წყალში ჩაიყრება და ხელთ კვლავ ის კოდექსი შეგვრჩება, სადაც ხელისუფლება „ხვრელებს“ იპოვნის და მოსაგებად ლავირებას შეძლებს. 2012 წელსაც რომ კოდექსის მიზეზებზე ისაუბრონ პოლიტიკურმა ძალებმა და დამარცხება კანონმდებლობის უზუსტობებს გადააბრალონ, იმას ნიშნავს, არჩევნები ამიერიდან არასოდეს ჩატარდეს ამ ქვეყანაში და თანამდებობებზე ადამიანები პირდაპირ დაინიშნონ.***

***საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი ოპოზიციამ ხელისუფლებასთან უნდა შეათანხმოს და ეს ერთგვარი ტესტი იქნება, არის თუ არა არსებული მმართველი ძალა დემოკრატიისთვის მზად. გვესაუბრება რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძე.***

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის აქტიური წევრი ბრძანდებით. თითქოს პრინციპული საკითხი იყო კონსტიტუციის მე-80 მუხლი, რომელიც ექსპრეზიდენტისთვის გარკვეული უფლებების შეზღუდვას შეეხებოდა....**

— არა, ეს არ იყო პრინციპული, ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სხვა რამდენიმე საკითხს შორის, მაგრამ არა — განმსაზღვრელი.

**— ყოველ შემთხვევაში ეს იდეა ყველა ოპოზიციურმა პარტიამ არ გაიზიარა, მას სკეპტიკოსები გამოუჩნდნენ.**

— არა, რატომ? საკითხავია ვინ გაიზიარა, ვინ არა, მაგრამ გიმეორებთ, ეს არ არის უმთავრესი საკითხი.

**— მაშ, რა არის უმთავრესი, თქვენ რას მიიჩნევთ განმსაზღვრელად?**

— უმთავრესი არის სისტემა. ის სისტემა, რომელსაც პარლამენტი განიხილავს და დარწმუნებული ვარ, მიიღებს კიდეც, გაცილებით მეტი რისკის შემცველია, ვიდრე დღეს არსებული. დღეს არსებული სისტემა რომ არ შეესაბამება კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს, დარღვეულია ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი, ამაზე ექვსი წელიწადია ლაპარაკობს ყველა, ვისაც აზრის გამოთქმა არ ეზარება. 2004 წლიდან მოყოლებული ვენეციის კომისიაში, ევროკავშირის სხვადასხვა უწყებაში, დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ყოველთვის იყო მითითებული, რომ ასე არ შეიძლება, კონსტიტუცია გასასწორებელია. ამ თვალსაზრისით ახალი სისტემა ბევრად მეტი საფრთხის შემცველია ქვეყნის სტაბილურობისათვის, ვიდრე არსებული. ის პოლიტიკური კრიზისის მეტ შესაძლებლობას ქმნის და ნაკლები შესაძლებლობებია იმისა, რომ კრიზისიდან მინიმალური დანაკარგით იპოვონ გამოსავალი. ესაა სწორედ მთავარი პრობლემა.

**— ანუ უმრავლესობის მტკიცება, რომ ხელისუფლების შტოებს შორის გაცილებით უკეთესს ბალანსს მივიღებთ, აბსურდია?**

— აბსოლუტურად ტყუილია. აქ არანაირი ბალანსი არ არის.

**— თუმცა, ბატონო ვახტანგ, პოლიტიკური პარტიების ბრძოლის ვექტორი ამჯერად საარჩევნო კოდექსის ცვლილებებისკენ არის მიმართული და ამ პუნქტების ჩამოყალიბებაშიც არანაკლები წვლილი მიგიძღვით.**

— რა თქმა უნდა, მე როგორც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, აქტიურად ვმონაწილეობდი განხილვებში. არის საკითხები, რომლებიც მოსაწესრიგებელია და ადვილად შეიძლება მოწესრიგება, მაგრამ არის ისეთი თემები, რომელიც არა მხოლოდ საარჩევნო კოდექსში, არამედ სხვა კანონში ცვლილებებს საჭიროებს. ცვლილებებს შორის ძალიან მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა რეგისტრაციის საკითხი. მაგრამ ის დაკავშირებულია სხვა კანონთან, რომელიც მოქალაქეთა აღრიცხვის წესს აწესრიგებს. სხვა ცვლილებები შედარებით ტექნიკურია, რომელიც უშუალოდ კოდექსს შეეხება. ასეთმა ცვლილებებმა მთლიანობაში უნდა შექმნან თანაბარი კონკურენტული პირობა არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის და შესაძლებლობა, რომ არჩევნების შედეგები იმის შესაბამისი იყოს, რაც ამომრჩეველს უნდა, ანუ ხელოვნურად ვერავინ უნდა შეძლოს თავისთვის სასურველი შედეგის დადება. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ 3 ათას ამომრჩეველსა და 120 ათას ამომრჩეველს ერთი კანდიდატი არ ჰყავდეთ. ასეთი ცვლილებების მთელი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მივიღოთ სამართლიანობის შესაბამისი კანონი. ამ კოდექსით არავის მიეცემა რაიმე პრივილეგია, მაგრამ არც არავინ იქნება შეზღუდული.

**— იყო საუბარი, რომ ვინც ოპოზიციური გაერთიანების შეთანხმებულ ცვლილებას გაიზიარებს, ის დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან ნაციონალების პირისპირ. ეს იმიტომ, რომ სატელიტი პარტიები არ გახდნენ ცვლილებების მიღების დროს ხელისუფლების იდეის განმახორციელებელი საშუალებანი?**

— არა, ჩემი აზრით ასე კატეგორიულად არ დაგვისვამს ეს საკითხი. მაგრამ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ჩვენს შეხედულებებს იზიარებენ, მოვიდნენ და ერთად გავაგრძელოთ მუშაობა.

**— ამისთვის რა ვადას სთავაზობთ?**

— დრო არავის განუსაზღვრავს. თუმცა სასურველია, პროცესი დიდხანს არ გაიწელოს. ჩვენი კონცეფცია დროულად უნდა მივიყვანოთ საარჩევნო კანონმდებლობის დონემდე, რათა საბოლოოდ კანონპროექტის სახე მიიღოს.

**— ეს უკვე ხელისუფლებასთან შეთანხმების შედეგად უნდა მოხდეს?**

— გააჩნია, როგორი ურთიერთობა გამოგვივა მათთან. შესაძლებელია სწორედ კონცეპტუალურ დონეზე შეთანხმდეს ხელისუფლება და ოპოზიცია და ამის შემდეგ დაიწეროს კანონპროექტი. თუკი ეს ვერ მოხერხდება და ხელისუფლება მოლაპარაკებაზე არ წამოვა, ოპოზიციური პარტიების შეთანხმებული კონცეფცია კანონპროექტის სახით ჩამოყალიბდება და ასე წარედგინება ხელისუფლებას. პროცესი დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. საჭიროა, ქვეყანამ დროულად იცოდეს, როგორ საარჩევნო გარემოში მოუწევს ცხოვრება.

ესაუბრა
**ნია ფიფია**

შთაბეჭდილება

# დიდი სახალხო კრების წინ

## რატომ ფორუმო, რატომ სხვანო და სხვანო, უკვე ამბიციებმა შეგაწუხათ?

**საუკუნის ლამის მიწურულს, რა თქმა უნდა, კარგიც ბევრი მინახავს, ხოლო რაც „ვარდების რევოლუციამ“ თავს დაგვატეხა, სამი სიცოცხლეც არ ეყოფა.**

და მაინც იმ კარგებს შორის გამორჩეულად 29 სექტემბერს ფილარმონიაში გამართული თავყრილობა მეჩვენება.

იქნებ იმიტომაც, ოპოზიციური პარტიების ლიდერებისგან დაპირებებსა და ცარიელ მუქარას ვერ გავცდით, აგერ, გასული წლიდან ამ შემოდგომის, უფრო სექტემბრის აქარიშხლებას რომ გვიქადიდნენ. ეს სექტემბერიც ალბათ ულიმღამოდ და უიმედოდ მიილეოდა, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის ძალისხმევა, გამორჩეულად კი ჩვენი ნონა გაფრინდაშვილის, ჩვენი სათაყვანებელი ქალბატონის შემოერთება რომ არის.



იმ დღეს ფილარმონიაში მისვლამდე ყველა ერთიანად ვღელავდით. მოვა კი ხალხი, იმედგაცრუებული, რამდენჯერ მოტყუებული, გაწბილებული: თუნდაც ჰიპოდრომი, თუნდაც 26 მაისის სტადიონი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

კარებთან რომ გავიჭედეთ, ლამის ნახევარი საათი დარბაზში რომ ვერ შევაღწიეთ, აი იქ გენახათ მოზღვავებული სიხარული, სიამაყე — მაშ, არ გავლეულვართ, ისევ ფეხზე ვდგევართ...

ზეალმტაცი იყო ის წუთები, როდესაც გოგი ქავთარაძემ ტრიბუნასთან ნონა გაფრინდაშვილი, ამ დიდი ეროვნული საქმის ერთ-ერთი მესაძირკვლე რომ მიიწვია.

როგორც ერთი კაცი, მთელი დარბაზი ფეხზე წამოიჭრა და როცა ტაშმა იქუხა, შემეშინდა ჭერი არ ჩამოინგრეს-მეთქი. მერე და დიდხანს, დიდხანს რომ არ ცხრებოდა ეს ოვაცია...

მე არ ვაპირებ იმის მოყოლას, თუ როგორ წარიმართა 29 სექტემბრის სახალხო წარმომადგენლობითი კრება. ამის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკაში“, სხვა გაზეთებსა თუ ტელევიზიებში ითქვა (თუმცა ძალიან მწირადძ, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება და პატივისცემა ამ თავყრილობისადმი, მისი ორგანიზატორების მიმართ. მათ ჩინებულად მოახერხეს ამ ფრიად საპასუხისმგებლო ღონისძიების ჩატარება. ყოველი გამოსვლა, რომ იტყვიან, გათვლილი იყო მათემატიკური სიზუსტით და ჩუბინივით ახვედრებდა მიზანს. შეკრებამ, რომელიც ოთხ საათზე მეტს გაგრძელდა და ერთ მხურვალე ამოსუნთქვასავით ჩაიარა, კიდევ ერთხელ ააფეთქა ის ეროვნული მუხტი, რომელიც ასე ძლიერ სჭირდება ჩვენს დღევანდელობას, მე ვერ გამოვყოფდი რომელიმე ორატორს... განსაკუთრებით შემზარავი იყო აგვისტოს ომის ამსახველი დოკუმენტური ფილმის კადრები, რომლებიც პირველად იხილა ფართო საზოგადოებრიობამ. აკი რამდენიმე ადამიანს გული ცუდად გაუხდა, სასწრაფო დახმარებაც კი დასჭირდა. არადა ეს უნდა იცოდეს ქვეყანამ.

ვიმეორებ, გამოსვლები იყო ლაკონიური, შეკუმშული და მრავლისმეტყველი, მე და ჩემს იქ მყოფ მეგობრებს, თითქმის არც ერთი მიტინგი და სახალხო გამოსვლა რომ არ გამოგვიტოვებია, ეს ღონისძიება გვეჩვენა იმის ნიმუშად, თუ როგორ უნდა წარიმართოს სახალხო ბრძოლა, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ მიზანს.

იქ არ იყო ყალბი პათოსი პატრიოტიზმისა და სამშობლოს ძახილით, არც ჭკუის სწავლება, თითოეულ სიტყვას თან ახლდა ის მუხტი, რაც ასე სჭირდება ჩვენს გატანჯულ, დაბეჩავებულ იმედგაცრუებულ ხალხს.

ამჯერად ჩემი სათქმელი კი ის გულისტკივილია, რომელიც იქ მისულთაგან, და არა მარტო მათ, ძალიან ბევრს გაუჩინა იმ დღემ. ჩვენ მოველოდით, ამ დიდ სახალხო მოძრაობას, თუნდაც ჩვენს სათაყვანებელ ჭაბუას და ნონას, მხარში დაუდგებოდნენ სხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერები. რა თქმა უნდა, მემარჯვენეების, რესპუბლიკელების და კიდევ რამდენიმე გათითოკაცებული პარტიის იქ არ მოსვლით არავინ განაწყენებულა, მაგრამ ფორუმელების განზე დგომამ, მით უმეტეს იმ დღით მათი ლიდერების ქუჩა-ქუჩა სიარულმა, თითქოს სხვა დროს ეს არ შეიძლებოდა, ძალიან ბევრს გული ატკინა. ის საბაბი, რომ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მიაწერეს ამ კრების უკან დგომა, ნაციონალების შეთითხნილია და სხვა არაფერი.

ლეიბორისტებმა, შეიძლება ითქვას, არც მთლად დროულად, მაგრამ შექმნილ ვითარებას ალღო აუღეს, და შემოთვალეს, თქვენთანა ვართო. აი, ნინო ბურჯანაძემ კი გაიორკეცა ხალხის პატივისცემა... მაგრამ პირადად მე მაინც ფორუმელებზე მწყდება გული: ბატონო კახა, ბატონო გუბაზ, რა ხდება, ნუთუ იმ წარმატებებმა, რაც ბოლო დროს მოიპოვეთ, თავბრუ დაგახვიათ?.. განდიდების ამბიცია ხომ არ შეგეპარათ? არადა, ის რამდენიმე ათასი კაცი, იმ დღეს იქ რომ იყო, თქვენი თანამდგომიც არის, თქვენი თანამოაზრენი, რატომ გგონიათ, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს რომელიმე პარტიის წევრობით განისაზღვრება? დღეს ხალხი პარტიების კი არა, სამშობლოს გადასარჩენად იბრძვის და ვინც ამ ბრძოლაში თავს გამოიჩენს, უკლებლივ მასთან დადგება. ასეა ეს, თუთაშხიასი არ იყოს და კიდევ დიდი გალაკტიონისა არ იყოს, გავყვებით მას: „ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით“. საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ბოროტებისაგან განსათავისუფლებლად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს. ახლა მთავარია ეს იმედი არ დავკარგოთ. ნოემბერი ბოლო გაჩერებაა.

**გივი ჯახუა**

***P. S. როგორღაც ლტოლვილთა გარემოცვაში აღმოვჩნდი. თან ჩემი წიგნები მქონდა და რამდენსაც გაწვდა, ვაჩუქე. გაუხარდათ, მერე გულისტკივილი თუ შთაბეჭდილებაც გავუზიარეთ ერთმანეთს.***

***დავით მ... — ოჩამჩირიდან ვარ. იმ უბედურების დროს თავი მოსკოვს შევაფარე. რვა წელი იქ ვიცხოვრე, ცოტა წელში გავიმართე თუ არა, სამშობლოში დავბრუნდი. მცირე ბიზნესს მინდოდა მოვკიდებოდი, მაგრამ არ დამანებეს. ასე ცხოვრება არ შეიძლება, იქ, აფხაზეთში დარჩენილი ჩემიანები ბევრად უკეთ ცხოვრობენ, თუმცა მათი ბედი არ მშურს. მე გამთლიანებულ საქართველოში მინდა ვიცხოვრო, მაგრამ ამ ხელისუფლებას ეს არ სურს და უკან დასახევი გზა მოგვიჭრა.***

***თინა ბარძაია — ლტოლვილთა ოჯახიდან, მესამე კურსის სტუდენტი: ჩემს მშობლებთან ერთად მოვედი, ისინი გარეთ დარჩნენ... ძალიან ბევრნი მოვიდნენ... მიხარია, რომ ჩემი ხალხი იბრძვის, რატომღაც ჰგონიათ, ახალგაზრდები პასიურობენო, ასე არ არის, აბა გადახედათ რამდენი ქალიშვილი და ჭაბუკია დარბაზში.***

***დიმიტრი ბენდელიანი — აფხაზეთიდან: დიდი ხანია ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა დაგვაშინოს, დაგვაჩლუნგოს, გვატერორებს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ... რაც მთავარია პირველი კრება შედგა, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, — უთქვამთ.***

***ზურაბ გორგაშვილი — რუსთაველი: გახარებული ვარ... მხოლოდ ოპოზიციის ლიდერებზე მწყდება გული. მეგონა, ნონას მაინც დაუდგებოდნენ მხარში. აქ ხომ რომელიმე პარტიის შეკრება არ არის, იმედია, გონს მოეგებიან, მხოლოდ ერთობა გადაგვარჩენს. წინ ნოემბერია.***

***გ. ჯ.***

## გუშინდელი ფოსტიდან

# მსხვერპლ-შეწირვა,

## ანუ რატომ ვემსგავსებით იმ კუს, რომელმაც ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო

**რასაკვირველია, ყველაფერს დრო განსაზღვრავს, რომელ დროშიც ცხოვრება გვიხდება, მაგრამ ქვეყანას ხელმძღვანელობა იმიტომ ჰყავს, რომ დროის მიერ განსაზღვრულ ვითარებაში ამ ქვეყანამ სწორი ნაბიჯები გადადგას, რათა გარკვეული სარგებელი ნახოს და არა უსაგნოდ შეეჭიდოს სიკვდილს.**

დღეს, მაგალითად, ნათელია, რა უაზრო ომი ატეხეს ერაყში ბუშმა და ბლერმა, რომელთაც თავიანთი ხალხების სამართლიანი წყევლა და კრულვა დაიმსახურეს. ის კი არა, ბუშის ფეხის ხმას აყოლილ ბლერს ინგლისში თითქმის აღარც დაედგომება და ინგლისელ ამომრჩეველთა წინაშე ყოველ წუთს დაგვიანებული თავის მართლება უწევს. მაგრამ თავის მართლება რას უშველის ათასობით დაღუპულ ამერიკელ და ინგლისელ ახალგაზრდას, თვითონ დაღუპულ მშვიდობიან ერაყელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

იმ უაზრო ომს თუ ჩვენ, ქართველები, შედარებით უმსხვერპლოდ გადავურჩით, აგერ ახლა ავღანეთიდან ოთხი ქართველი ახალგაზრდა ჩამოგვისვენეს, საერთოდ კი ერთ თვეში უკვე სულ ხუთი ქართველი დაიღუპა. ამ სისხლიან მსხვერპლს თურმე ნატოდ სახელდებული ღვთაება ითხოვს, რომელიც ისე არ მიგვიღებს თავის წიაღში, თუ ქართველი ახალგაზრდების სისხლი არ შევასვით და არ შევახვრიპეთ.

დაახლოებით ასეთი აზრი განავითარეს თავიანთ სატელევიზიო გამოსვლებში ჩვენი ხელისუფლების კარის ექსპერტებმა და პოლიტოლოგებმა. რონდელზე აღარაფერს ვამბობ, გასაგებია, რაც ალაპარაკებს. მე გიორგი თავდგირიძის ალოგიკურმა გამოსვლამ გამაკვირვა. ეს ის გიორგი თავდგირიძეა, რომელიც ერთ დროს ჩვენს სამხედრო აკადემიას ხელმძღვანელობდა, მერე უკვე „მოხსნილმა“ მეტ-ნაკლებად სიმართლის ლაპარაკი დაიწყო. ახლა ჩანს, რაღაც ახალი თანამდებობის პერსპექტივა გაუჩნდა, ამიტომ, როგორც იტყვიან, სულ სხვანაირად აჭიკჭიკდა: ჩვენ რუსეთის მხრიდან დიდი საფრთხეების წინაშე ვართ, იმისთვის კი, რომ ამ საფრთხეებს სათანადოდ დავხვდეთ, გაწვრთნილი ჯარი უნდა გვყავდეს, ხოლო ჯარს ისე ვერ გავწვრთნით, თუ საომარ ოპერაციებში არ მივიღეთ მონაწილეობაო. ასე რომ, ხან მსხვერპლის გაღებასაც უნდა შევეგუოთ, სხვანაირად არც გაწვრთნილი ჯარი გვეყოლება და ვერც ნატოში შევალთო. ერთი სიტყვით, სანამ ნატოში შევალთ, ხან მსხვერპლშეწირვა მოგვიხდებაო, რათა, როგორც რასმუსენმა ბრძანა, „სათანადო კრიტერიუმები“ უნდა დავაკმაყოფილოთო. ჩანს, სწორედაც ამ „სათანადო კრიტერიუმების“ გამოა, რომ ქართველი სამხედროები სამშვიდობო მისიას ასრულებენ ავღანეთის ყველაზე რთულ ჰილმენდის პროვინციაში, საიდანაც ერაყში ჭკუანასწავლმა დიდმა ბრიტანეთმა დიდი რისკის გამო თავისი სამშვიდობო ძალები გაიწვია.





რონდელისა და თავდგირიძისგან განსხვავებით, ჩვენს „საავღანეთო პოლიტიკაზე“, სულ სხვა აზრისაა ცნობილი სამხედრო ექსპერტი და ფილოსოფოსი კახა კაციტაძე, რომლის აზრითაც, ნატოს გენერალური მდივნის რასმუსენის საქართველოში სტუმრობამ ილუზია არ უნდა გაგვიჩინოს (ეს რასმუსენი, რომელსაც აგრერიგად შეჰყვარებია საქართველოში სტუმრობა, ნატოს გენერალურ მდივნობამდე დანიაში გადასახადების მინისტრი ყოფილა!ძ, ჩვენი სამხედროები საზღვარგარეთ სამშვიდობო ოპერაციებში უნდა მონაწილეობდნენ, მაგრამ „ფსიქიკურად შეშლილი“ და „ნარკობარიგა“ ჰამიდ ყარზაის საეჭვო რეჟიმის მხარდასაჭერად არ უნდა იღუპებოდნენ, რომელი ყარზაის წარმომადგენელიც გაეროში უკვე მეორე წელია მხარს არ უჭერს რეზოლუციას ჩვენი დევნილების დაბრუნებაზე. ჩვენი ხელისუფლება კი ამ ფაქტს, როგორც ძალიან ბევრ სხვა ფაქტსაც, თურმე საგულდაგულოდ გვიმალავს. ასევე უთუოდ საგულისხმოა კახა კაციტაძის აზრი, რომ ავღანეთი ერთ ღილაკზე არ აჭერს თითს ჩვენი გულისთვის და ამ დროს ჩვენი ბიჭები კორუმპირებულ ყარზაის იცავენ...

როგორც სამართლიანად ფიქრობს ბატონი კახა, ავადმყოფუ რია ის იდეაც, რომ მთელი მსოფლიო პოლიტიკა რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჭიდაობაა, ამერიკა მაგარია, ჩვენ, საქართველო, მის მხარეს უნდა დავდგეთ, ის დაამარცხებს რუსეთს და ჩვენც სარგებელი გვექნებაო... არადა, რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც, როგორც იტალიის კუდნავარდა პრემიერმა ბერლუსკონიმ ამას წინათ სენატში განაცხადა, ყველაზე მაღალ ხეზე უპირებდა თურმე ჩამოკიდებას ასევე კუდნავარდა სააკაშვილს, რომელსაც აგერ ახლახან ერთმა მერთვლე ქლესა, უფრო სწორად, ფლიდმა კახელმა ის კი არ უთხრა, სინამდვილეს გვიყალბებო, თვალში ნაცარს გვაყრიო, პირიქით, შენს პოლიტიკას ზოგი ვიწრო თვალით უყურებს და არ უნდა იმ მწვერვალის დანახვა, რომელზეც საქართველო აიყვანეო.

ეს სპექტაკლი, სახელად „რთველი“, ახლა შაბათს გვიჩვენა „სამეფო“ კარის ცნობილმა ჟურნალისტმა კიკალიშვილმა თავის გადაპრანჭულ „პოსტკრიპტუმში“. რასაკვირველია, განაციონალურებული „რუსთავი-2“-ის საქართველოს თვალში საცემად გამფერადებელი ეკრანიდან.

როგორც ხედავთ, თურმე მწვერვალზე ვყოფილვართ, ჩვენ კი არ გვცოდნია. ნატოს ღვთაებაც, ჩანს, ამ მწვერვალზეა დაბინავებული და არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოითხოვს ჩვენგან, სამწუხაროდ, ჯერ ისევ წარმართი ხალხისგან, სისხლიან მსხვერპლშეწირვას!..

დაბოლოს, რა ვქნათ იმ მსხვერპლშემწირველებმა, ვისაც ბებია მზიასთანა ბებია არა გვყავს, ვინც ექვს დღეში ინგლისურსაც ისწავლიდა და შვილიშვილსაც პრეზიდენტად გაზრდიდა?!

რა უნდა ვქნათ და, იმ ერთი ანეკდოტისა არ იყოს, ამქვეყნად ბებიამიტყემლილ-მოტყემლილებმა უნდა ვიაროთ...

**ნოშრევან ხმალაძე,**
ნაპედაგოგარი, ქ. დმანისი

## საჭირბოროტო



# შენ ავღანეთს რა გინდოდა...

**ჩვენთვის არც თუ ისე სასიამო სექტემბერი ორი უმძიმესი ამბით დასრულდა: „მორიგი“ ქართული მიწების ხარჯზე ოკუპირებული ტერიტორიების გაფართოებით — სამხრეთ ოსეთიდან, გინდა ეგრეთ წოდებულად მოიხსენიე, გინდა წოდებულად, საზღვრების გადმოწევითა და ავღანეთში ოთხი ქართველი სამხედრო პირის დაღუპვით.**

საქართველოს ხელისუფალთ, სულ უმაღლესით დაწყებული, ამ შემოდგომაზე ეკრანზე ახალი საპიარო **შემოდგომა** აუტყდათ კახეთში რთველითა თუ რთველობით და ზედიზედ იჩითებიან ტელეკამერების წინ ბარაქიან კახურ ვენახებში, მადლიან კახურ მიწაზე ხან ყურძნიან გოდრებთან, ხან ხარიხაზე ჩამოკიდებულ ჩურჩხელებთან... თუ ბიჭები არიან და თუ მართლა „ფრიადოსნები“, აბა ერთი „საზღვრის“ პირად მდებარე ქართულ სოფლებში გაეჩითნონ რუსებსა და ოსებს, უსინდისოდ და ულმერთოდ წართმეულ ბაღებთან, სარწყავ არხებთან, წყალსატევებთან; რომელიმე ჩვენი დიდჩინოსანი ერთხელ მაინც თუ გაკარებია იქაუროებას — რაო, იქ სათანადოდ ვერ იპიარებენ?..

რუსებისა და ოსების ეს კიდევ ერთი თავხედობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა შევატყობინოთო, რომ გავიძახით — ლუდოვიკო მეთოთხმეტისა და ვახტანგ მეფისა არ იყოს (მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსიდანძ — ვეღარ უნდა გავიგოთ, რომ იმ ორგანიზაციებს, ბოლოში და, ფეხებზე ვკიდივართ და დიდი რუსეთისა გვარიანადაც ეშინიათ? ან იმას თუ დავაკვირდებით, რომ მაგ რუსებს და ოსებს ეგ პროვოკაცია (როგორც ჩვენ მოვნათლეთ და ამ საბაბით ხელიც არ გავანძრიეთ და ხელები დავიბანეთძ თბილისში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტს დაამთხვიეს შეგნებულად თუ „შეუგნებლად“, შემთხვევითა თუ შეუმთხვევლად, გააზრებულადა თუ გაუაზრებლად? რაო, დაუტატანა თბილისიდან ნატოს გენმდივანმა რუსეთს — რას ჩაღიხართო? ან რომელიმე „იმ“ ორგანიზაციამ დაგმო „ახლანდელი“ რუსულ-ოსური გადაზომვები?..

ავღანეთში ქართველი ბიჭების დაღუპვას რაც შეეხება, ვსარგებლობ მომენტით და რიგითი მოქალაქის, საზოგადოების რიგითი წევრის ენა-პირით ვუსამძიმრებ უბედურებადატეხილ ოჯახებს. ასევე რიგითის სახით გამოვთქვამ იმედს, რომ ხელისუფლება, ეგებ შესაბამისი უცხოური სტრუქტურების მონაწილეობითაც, არსებით დახმარებას გაუწევს მარჩენალდაკარგულთ.

ახლა კი ამ ტრაგედიისათვის სხვა კუთხით შეხედვის ნებას ვაძლევ თავს; რატომ ვაგზავნით ბიჭებს იმ უცხო, უნდო, სასტიკ და ვერაგ ავღანეთში საბრძოლველად? იქ რა ესაქმებათ? მაღალი ანაზღაურების სატყუარათი ვაცდუნებთ? რისთვის და ვისთვის უნდა გასწირონ სიცოცხლე? იმისათვის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკელთაგან და „უცხოთაგან“ მადლობა დაიმსახუროს — **ინტერნაციონალურ** ვალს პირნათლად ასრულებთო? რომელ **ინტერნაციონალურ** ვალზეა ლაპარაკი, როცა საქართველოში **ნაციონალური** ვალი გვაწევს და ვერ მოგვიხდია, ჩვენი მოსახლეობა ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლადაც ვერ დაგვიცავს?..

და კიდევ: ოთხის დაღუპვა გახმაურდა, მაგრამ ვაითუ ისეთი დაღუპვებიცაა, რომელთა შესახებ დუმან და არ გვაგებინებენ?..

რამდენი შეკითხვა ყოფილა, თუ არ მეშლება მე უზირს, პასუხგასაცემი...

**ლუკა გორგაძე**

## ვაჭრობა

# ფასებს დამოუკიდებელი ექსპერტები ადგენენ

**კონტრაბანდასა და კონტრაბანდისტებს უძველესი დროიდან მოყოლებული, ყველა ეპოქასა და, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში ებრძოდნენ, რისი მიზეზიც, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს ზარალი იყო ბაჟის გადაუხდელობის გამო, მეორე კი ზოგიერთი სახეობის საქონლის ქვეყნიდან გატანის საერთოდ აკრძალვა გახლდათ (მაგალითად, ჩინეთიდან აბრეშუმის ჭიის). კონტრაბანდასთან ბრძოლა, იგივე საბაჟო წესების დარღვევით საქონლის იმპორტი, ზოგადად, სავსებით გასაგები საქმეა და საზოგადოებრიობისთვის სრულიად მისაღები, მაგრამ ამ ერთი შეხედვით არც თუ რთულ პრობლემას შემდგომ კონფისკებული საქონლის, ასე ვთქვათ, „სწორ გზას გაყენების“ საკითხია.**

გასაგებია, როცა კონტრაბანდულ საქონელს, თუ კი ის საკვებად ან მოსახმარებლად უვარგისია, ვადაგასულია, ყველა ქვეყანაში ანადგურებენ, რაც ჩვენშიც არაერთხელ მომხდარა. მაგრამ როცა საქმე გამოსაყენებლად ვარგის პროდუქციას ეხება, მაშინ როგორაა საქმე, რა გზას უნდა გაუყენოს იგი სახელმწიფომ?

ამის თაობაზე ფინანსთა სამინისტროში საკითხს გარკვეულწილად ახლებურად მიუდგნენ და როგორც მისმა მომსახურების სააგენტომ განაცხადა, რამდენიმე დღეში, კერძოდ, 10 ოქტომბრიდან, საქართველოში საბაჟო წესების დარღვევით იმპორტირებული პროდუქციის შეძენა ონლაინ მაღაზიითაც იქნება შესაძლებელი. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ მაღაზია შეძენილი საქონლის მომხმარებლისთვის ბინაზე მიტანასაც უზრუნველყოფს, რა მომსახურება დედაქალაქის მცხოვრებთათვის უფასო იქნება, ქვეყნის მხარეებში კი — ფასიანი. ამჟამად, ფაქტობრივად, დასრულებულია ამის თაობაზე ფინანსთა სამინისტროსა და რამდენიმე საფოსტო კომპანიის წარმომადგენელთა მოლაპარაკებები, რა დროსაც, კერძოდ, დაადგენენ, თუ რა პროცენტით გაძვირდება პროდუქცია რეგიონებში დანიშნულების ადგილზე მიტანის შედეგად.

საბაჟო წესების დარღვევით ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, რომელიც იმპორტიორს ამა თუ იმ მიზეზით ჩამოერთმევა, სადღეისოდ თბილისში ლილოსა და ელიავას ბაზრობებზე, აგრეთვე იაშვილის ქუჩაზე განთავსებულ სამ მაღაზიაში იყიდება.

ლილოს ბაზრობაზე, სავაჭრო „ცენტრ ჯითისიში“ განთავსებული საბაჟო წესების დარღვევით შემოტანილი პროდუქციით მოვაჭრე პირველი მაღაზია, სადაც ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იყიდება, შარშან ზაფხულში გაიხსნა. ელიავას ბაზრობის ამ ტიპის სპეციალიზებულ მაღაზიაში სამშენებლო მასალის რამდენიმე სახეობას, ხოლო იაშვილის ქუჩაზე სავაჭრო ობიექტში სამონადირეო აღჭურვილობას სთავაზობენ მომხმარებელს. რაც შეეხება გასაყიდი საქონლის საბაზროსთან მიახლოებულ ფასებს, მას ზუსტად დამოუკიდებელი ექსპერტები ადგენენ. ეს პრაქტიკა ონლაინ მაღაზიის მიერ შეთავაზებულ საქონელზეც გავრცელდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

მეზობელი

# აზერბაიჯანის წარმატებები შეუჩერებლად მატულობს

**_ამ დღეებში ორი აზერბაიჯანელი მეცნიერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრებად აირჩიეს. ამ ფონზე საუბარი საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანში დამოუკიდებლობის წლებში ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული სახელმწიფოს შენების, საერთოდ ამიერკავკასიის ამ სახელმწიფოს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესში მონაწილეობის საკითხსაც შეეხო. ამასთან ერთად, წარმატების მიღწევის საშუალებებიც გაანალიზდა. როგორც ამ შეხვედრის მონაწილემ, გადავწყვიტე ჩემი შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ და აზერბაიჯანში ბოლო წლებში მიღწეული წარმატებები გაგაცნოთ._**

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ბოლო წლებში სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების სფეროში მიღწეული წარმატებები მსოფლიოს მხრიდან უმაღლეს დონეზე შეფასდა. ყველა სფეროში აღმშენებლობა, კეთილმოწყობა, მოდერნიზაცია შეიმჩნევა. ამის შედეგად აზერბაიჯანმა მსოფლიოში ყველაზე დინამიკური ეკონომიკის მქონე ქვეყნის სახელი მოიპოვა, მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან მინიმუმი დანაკარგებით შეძლო გამოსვლა და ამით ავტორიტეტული ექსპერტების ყურადღება მიიქცია. აშშ-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „ნიუსუიქის“ მიერ ჩატარებულ რეიტინგში „მსოფლიოს საუკეთესო 100 ქვეყანა“ აზერბაიჯანმა ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა. ჟურნალმა 100 ქვეყანა 5 კატეგორიის მიხედვით აირჩია: ჯანმრთელობის დაცვა, ეკონომიკური განვითარების დინამიკა, განათლება, პოლიტიკის განმტკიცება და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აზერბაიჯანი საერთაშორისო დონეზე ახორციელებს ინტეგრაციას, ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას, განამტკიცებს პოლიტიკას და დამოუკიდებლობას. დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას დიდი ყურადღება ექცევა. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დემოკრატიული ატმოსფეროა შექმნილი. მისი კიდევ უფრო განმტკიცებისათვის ფართო ღონისძიებები ტარდება.

გასული საუკუნის მიწურულს, დამოუკიდებლობის ხელახლა აღდგენის შემდეგ, აზერბაიჯანი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, მრავალ სირთულეს წააწყდა. მთიანი ყარაბაღის პრობლემამ, ქვეყანაში არსებულმა სხვა პრობლემებმა ქვეყანა დაპირისპირებულ მხარეებად აქცია. პრობლემებისგან დაღლილი ხალხი ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის გარშემო დაირაზმა, რომელმაც შეძლო ქვეყანა მოკლე დროში გამოეყვანა მწვავე პოლიტიკური სიტუაციიდან, ყური უგდო ხალხის გულისთქმას და ხანგრძლივი ომი შეწყვიტა. ამის შემდეგ, მან შეძლო მსოფლიოს ყურადღების მიქცევა და უდიდესი პროექტების განხორციელება. ქვეყანაში სტაბილურობამ დაისადგურა. დაიწყო ეკონომიკური განვითარების ზრდის პროცესი, დემოკრატიული პრინციპების განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ევროპის პოლიტიკასთან მაღალ დონეზე თანამშრომლობა. მთავრობამ მსოფლიო სტანდარტებისკენ აიღო გეზი და წამყვან სახელმწიფოთა შორის ადგილის დამკვიდრების პირობები შეიქმნა.

ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები პრეზიდენტ ილჰამ ალიევის დამსახურებაა. მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში დემოკრატიის გზით მიმავალი წარმატებული ქვეყნების მსგავსად აზერბაიჯანი სამოქალაქო საზოგადოებას აშენებს, სამართლებრივ სახელმწიფოს აყალიბებს. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დაამტკიცა, რომ მოკლე პერიოდში შესაძლებელია უდიდესი წარმატებების მიღწევა. პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების, დემოკრატიული პროცესების წარმატებით მიმდინარეობა, ჯარის გაძლიერება, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უმთავრესი მიმართულებებია და მართლაც, ამ კუთხით ქვეყანა სწრაფად მიიწევს წინ.



აზერბაიჯანის ხელისუფლება ქვეყნის მმართველობის საკითხში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილებას და რეკომენდაციებს ითვალისწინებს, მართავს მათთან დიალოგს, საერთაშორისო მმართველობის მეთოდების გამოყენებით ხელმძღვანელობს. აქედან გამომდინარე, ნოემბერში ქვეყანაში იგეგმება თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე საპარლამენტო არჩევნები. ხელისუფლება საარჩევნო პრაქტიკის დახვეწისთვის დიდ სამუშაოებს ატარებს, რათა არჩევნები მეტი წარმატებით ჩატარდეს: კანდიდატებისთვის ერთნაირი პირობების შექმნა, საარჩევნო კომისიის შემადგენლობის ფორმირებაში პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისათვის ყველანაირი პირობების შექმნა.

აზერბაიჯანი თავისი დინამიკური განვითარების და საიმედო პოლიტიკური სიმტკიცის შესაბამისად, ქვეყანაში მშვიდობის გარანტის, სამართლიანობის ზეიმის, ტერიტორიული დავების საერთაშორისო ნორმების ჩარჩოებში, მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის ერთ-ერთი საინტერესო ქვეყანაა.

ამ კუთხით, საქართველოსთან მეგობრობა, ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო სიღრმისეული ხდება. ღრმა ფესვების მქონე ქართულ-აზერბაიჯანული მეგობრობა ახალგაზრდა პრეზიდენტების ილჰამ ალიევისა და მიხეილ სააკაშვილის პირად მეგობრობაში, ძმურ ურთიერთობაში და სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა. საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობაში არანაირი პრობლემები არ არის, ამ ქვეყანაში მიმდინარე საუკეთესო ცვლილებები მათ ძალიან ახარებთ. „ჩვენი მეგობრობა დიდი ხნის მეგობრობაა, მას დიდი ისტორია აქვს და მრავალ გამოცდას გაუძლო. საქართველო არასოდეს დაივიწყებს იმას, რომ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოშლისას, ქართველ ხალხს ზამთრის სუსხიან, მძიმე პირობებში დახმარების ხელი სწორედ აზერბაიჯანმა გამოუწოდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს პერიოდში აზერბაიჯანის ასეთ თანადგომას ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს“.

– აზერბაიჯანი თანდათან ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონული ცენტრი ხდება. ესეც ძალიან სერიოზული ფაქტია. როგორც კავკასიის რეგიონის, ასევე ევროპისთვისაც აზერბაიჯანის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება. ბოლო წლებში აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურის მიერ გადადგმულმა შორსმჭვრეტელმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა. ჩვენ აზერბაიჯანის ამ წარმატებებს ვხედავთ. ამ ყველაფრის მიღწევა არც თუ ისე იოლი იყო. ყველას ესმის, რომ აზერბაიჯანს დიდი სტრატეგიული როლი ეკუთვნის. ჩვენ ვამაყობთ, რომ აზერბაიჯანი ძლიერი ქვეყანაა და მისი ავტორიტეტი დღითი დღე მატულობს, – აღნიშნა მ. სააკაშვილმა.

საქართველოში აზერბაიჯანული ინვესტიციების რიცხვი იზრდება, პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული ურთიერთობები კიდევ უფრო ძლიერდება. შემთხვევითი არ არის, რომ აზერბაიჯანი საქართველოს სავაჭრო პარტნიორებიდან ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა. უნდა აღინიშნოს ის, რომ გასულ წელს ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა 454,9 მლნ აშშ დოლარი იყო, წელსაც სავაჭრო ბრუნვა წარმატებით მიმდინარეობს. ამ წლის გასულ პერიოდში კი სავაჭრო ბრუნვამ 430 მლნ დოლარი შეადგინა.

SOCAR საქართველოში უდიდესი გადამხდელია და ამ რეიტინგს უკვე რამდენი წელია არავის უთმობს. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის სავალუტო რესურსი წლის დასაწყისიდან 20 მილიარდი დოლარიდან 27 მილიარდამდე გაიზარდა.

აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურის ეროვნულ-კულტურული და საკაცობრიო ღირებულებები ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების, ეკონომიკის დინამიკური ზრდის უზრუნველყოფის მიმართულებით, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გონივრული მართვის შედეგად ქვეყნის შიდა საერთო პროდუქტი მკვეთრად იზრდება. ნავთობის და არანავთობის სექტორშიც იგრძნობა განვითარების ზრდა, მოსახლეობის ცხოვრების დონეც შესაბამისად იზრდება.

აზერბაიჯანი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში კიდევ უფრო მეტად არის ინტეგრირებული. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საერთაშორისო ეკონომიკაში უმაღლეს საფეხურზე ავიდა. აზერბაიჯანის წარმატებები დემოკრატიის განვითარებასა და განმტკიცებაში თვალსაჩინოა.

აზერბაიჯანის ყველა მიმართულებით მოპოვებული წარმატებები, ბოლო წლებში განმტკიცებული შიდა პოლიტიკა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მომავალში კიდევ უფრო მეტი წარმატების საწინდარია.

**ისლამ ალიევი,**
**აზერთაჯის კორესპონდენტი საქართველოში**

ინფორმაცია

## საგადასახადო ამნისტია არ იგეგმება

**ახალი საგადასახადო კოდექსის პარალელურად არანაირი საგადასახადო ამნისტია ჯერჯერობით არ იგეგმება, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.**

**– ამ ეტაპზე არანაირ საგადასახადო ამნისტიაზე საუბარი ჯერჯერობით არ არის. როგორც იცით, მიღებულია ახალი დოკუმენტი საგადასახადო კოდექსის სახით, რომელმაც გაამარტივა პროცედურები და ქმნის კიდევ უკეთეს გარემოს ბიზნესის კეთებისა და განვითარებისთვის. ახლა საჭიროა, კოდექსის ყველა პუნქტი შესრულდეს, – აღნიშნა მანჯგალაძემ.**

**შეგახსენებთ, რომ 17 სექტემბერს ახალი საგადასახადო კოდექსი პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა. კანონპროექტი 73 ხმით ნულის წინააღმდეგ იქნა მიღებული. საპარლამენტო უმცირესობამ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა. თუმცა მათ ხმა არც კანონპროექტის წინააღმდეგ მიუციათ.**

ჯი-ეიჩ-ენი

# განცხადება

## საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსს

**1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1.1. უმაღლესი განათლება ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;

1.2. სახელმწიფო ენის ცოდნა;

1.3. კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები;

1.4. შემდეგი ნორმატიული აქტების ცოდნა:

1.4.1. საქართველოს კონსტიტუცია;

1.4.2. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ„;

1.4.3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 12 მარტის №71 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ეროვნული არქივის დებულების დამტკიცების შესახებ“.

**2. სტაჟიორთა რაოდენობა სტრუქტურული qvedanayofis მიხედვით/დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნა:**

2.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება (პროგრამისტი) – 1 სტაჟიორი.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნა –

შემდეგი კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

HTML; PHP; MySQL; JavaScript, CSS.

2.2 დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების განყოფილება – 2 სტაჟიორი.

სასურველია სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

**3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

დაინტერესებულმა პირებმა 2010 წლის 15 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) ავტობიოგრაფია(CV);

გ) განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან ცნობა სასწავლებლიდან;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) 2 ფოტოსურათი 3X4;

ვ) სარეკომენდაციო წერილი უმაღლესი სასწავლებლიდან (სურვილისამებრ).

**მისამართი:** – თბილისი, ვაჟა-ფშაველას №1, საქართველოს ეროვნული არქივი, პირველი სართული, მოქალაქეთა მისაღები.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადებაში უნდა მიუთითონ თუ რომელ სტრუქტურულ ერთეულში სურთ სტაჟირების გავლა.

**4. სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**

**I ეტაპი - ზოგადი უნარების შემოწმება(ტესტირება),**

**II ეტაპი - გასაუბრება, სახელმწიფო ენის ცოდნისა და კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევების შემოწმება.**

**სტაჟირების ვადა განისაზღვრება 3-დან 6 თვემდე. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში სტაჟიორს გადაეცემა სერტიფიკატი.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ არქივს 10-დან 18 საათამდე. საკონტაქტო პირი: ანტონ ვაჭარაძე, ტელ.: 895 90-87-11.**

**რუსეთი-საქართველო**

# თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მოსკოვი თბილისთან საუბარს არ აპირებს



***16-29 სექტემბერს მოსკოვში, საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ პენკლუბის ფარგლებში სემინარი გაიმართა, რომლის მიზანს სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ჟურნალისტებისთვის „რია ნოვოსტის“ თანამედროვე მულტიმედიური სტანდარტების გაცნობა წარმოადგენდა. სემინარის ფარგლებში რუსეთის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში, მათ შორის სახელმწიფო სათათბიროში, საზოგადოებრივ პალატასა და საგარეო საქმეთა სამინისტროში მთელი რიგი შეხვედრები გაიმართა. „პირველს“ საშუალება მიეცა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ის საქმეთა მეოთხე დეპარტამენტის უფროსს ანდრეი კელინს გასაუბრებოდა. დღეს მასთან ჩაწერილ ინტერვიუს გთავაზობთ.***



***— რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ორ წელზე მეტია, აღარ არსებობს. როგორ შეაფასებთ ორ ქვეყანას შორის არსებულ სიტუაციას?***

— უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ომისშემდგომ პერიოდში ვიმყოფებით და განწყობებიც ასეთი პერიოდის შესაბამისი გვაქვს. ეს ომი არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა და ჩვენ ამ მხრივ ვერაფერს ვიზამთ. ვიცით, რომ აგვისტოს ომმა ქართულ საზოგადოებაზე ძალიან იმოქმედა. ჩვენზე ნუ გაბრაზდებით, რადგან რუსეთს არ დაუწყია ეს ომი. ჩვენ იძულებული ვიყავით, ჩვენი მშვიდობისმყოფელები დაგვეცვა, რადგან პირველი შეტაკების დროს 15-მდე ჯარისკაცი დაიღუპა.

***— მაგრამ ალბათ, ვერ უარყოფთ იმას, რომ პირველ შეტაკებამდე ადმინისტრაციულ საზღვართან სამი დღის განმავლობაში ქართული სოფლები იბომბებოდა, რის შედეგადაც ქართველი პოლიციელები დაიღუპნენ...***

— კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენს სამშვიდობოებზე თავდასხმა განხორციელდა. ომის შედეგად 60 ჯარისკაცი დაგვეღუპა, ტექნიკის ნაწილი და თვითფრინავები დავკარგეთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ომის შემდეგ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები ქართული მხარის ინიციატივით შეწყდა. მეტიც, საქართველო დსთ-დანაც გამოვიდა და დღემდე ამ ორგანიზაციის ფარგლებში გაფორმებული დოკუმენტების გაუქმებას აგრძელებს. რამდენიმე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი 5 თუ 6 ნოტა მივიღეთ, რომელიც სხვადასხვა ხელშეკრულებების გაუქმებას ითვალისწინებს. რაც უფრო მეტი ხელშეკრულებიდან გავა საქართველო, მით მეტად შევა ჩიხში თქვენი ქვეყანა. მაგალითისთვის, რკინიგზა ამ ხელშეკრულებების გარეშე პრაქტიკულად ვერ იმოქმედებს. ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები კიდევ ბევრია და ყველა თუ გააუქმა საქართველომ, ეს ისევ მისთვის იქნება ცუდი. საქართველო აღნიშნული ხელშეკრულებების გაუქმების გადაფარვას თურქეთთან ურთიერთობების გაღრმავებით ცდილობს, თუმცა მე პირადად თურქეთსა და საქართველოს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობებს ვერ ვხედავ. სამაგიეროდ ვხედავ სულ სხვა რეალობას, კერძოდ, იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ინტერესი საქართველოსადმი საგრძნობლად შემცირდა. ამის ნათელ დასტურად თუნდაც ინვესტიციების შემცირება შეიძლება, დასახელდეს.

***— მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და რუსეთი ომის შემდგომ პერიოდში იმყოფებიან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოლაპარაკებების დაწყების მზადყოფნა გამოთქვა. თქვენ როგორ უპასუხებთ ამ განცხადებას?***

— პირადად ვიცნობ ბატონ გრიგოლს და დიდი პატივს ვცემ მას. ის აქ, საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და ძალიან კარგად ერკვეოდა ომამდელ მდგომარეობაში. პირადად მეც ძალიან ხშირად დავდიოდი საქართველოში და სხვადასხვა დონის შეხვედრებს ვმართავდი. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა ბატონი ვაშაძისგან, რომ სააკაშვილის პოლიტიკას აჰყვა და დღეს არსებულ რეალობებს სხვა ფერებში ასახავს. ჩვენ, რა თქმა უნდა, დიალოგის დაწყების მომხრენი ვართ, მაგრამ ამისთვის განსახილველი საკითხები უნდა არსებობდეს. როგორც სხვადასხვა მაღალი ტრიბუნებიდან ვისმენთ, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანას მოითხოვს, ეს კი ჩვენთვის განსახილველი საკითხები არ არის. ჩვენ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჯარებს უბრალოდ ვერ გავიყვანთ და იცით, რატომ? რას მივიღებთ ამის სანაცვლოდ? — 2008 წლის აგვისტომდე არსებულ მდგომარეობას, ანუ მუდმივ საფრთხეს იმისა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ომს დაიწყებს?! ჩვენ გადავწყვიტეთ, აფხაზეთს და ოსეთს დავეხმაროთ და ამ მიმართულებით სვლას გავაგრძელებთ. ასევე ხშირად გვესმის, რომ დეოკუპაციის საკითხიც უნდა განვიხილოთ, თუმცა იურიდიულად, აფხაზეთში არსებული მდგომარეობა ოკუპაცია არაა, რადგან ამ სახელმწიფოებში დამოუკიდებელი ხელისუფლებები არსებობენ და მათ საკუთარი ბიუჯეტი გააჩნიათ. ასე რომ, მიუხედავად სააკაშვილისა და ვაშაძის წინადადებებისა „უპირობო“ დიალოგის დაწყების თაობაზე, ზემოაღნიშნული საკითხები, რომელთა განხილვა ჩვენთვის მიუღებელია, ქართული მხრიდან კვლავინდებურად დგას დღის წესრიგში.

სადღეისოდ თბილისთან მხოლოდ ზემო ლარსისა და ავიამიმოსვლის აღდგენის შესახებ შეთანხმებებს მივაღწიეთ, თუმცა ამ მიმართულებითაც სამუშაო კიდევ ბევრია. ამასთან, ამ საკითხებშიც კი ქართული მხარე პირობებს აყენებს. კერძოდ, ავიამიმოსვლის სრულად აღდგენის კუთხით თბილისი გვთავაზობს, „მოდით, ამაზე შვეიცარიის მეშვეობით ვისაუბროთო“. ეს ხომ არასერიოზულია?! ჩვენ ხომ გულუბრყვილო ადამიანები არ ვართ?! მაშინ რა იგულისხმება „უპირობო დიალოგში“ ან იმაში, რომ „ქართული მხარე ნებისმიერი თემის განსახილველად მზადაა“?! სინამდვილეში ქართული მხარე მოლაპარაკებების დასაწყებად მზად არ არის.

დიალოგის შედეგიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა თემებით მოვა ქართული მხარე მოლაპარაკებების მაგიდასთან. ჩვენი აზრით, ქართულმა მხარემ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულება უნდა გააფორმოს, რაც ქართულ-რუსული დიალოგის დაწყების ფუნდამენტს შექმნის. მოდით, ამით დავიწყოთ ყველაფერი, რადგან ყველას ესმის, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები მნიშვნელოვანია მთელი კავკასიისთვის.

***— დავუშვათ, საქართველომ ეს დოკუმენტი გააფორმა... რა ნაბიჯებს გადადგამს საპასუხოდ რუსეთი?***

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რას გავაკეთებთ საპასუხოდ. ეს ალბათ, იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სერიოზულად მიუდგება ქართული მხარე ამ დოკუმენტს. ვთქვათ და შემდეგ არაფერი გავაკეთეთ, — ეს ხომ არასერიოზულია?! საქართველომ შესაძლოა, კვლავ სიტყვიერად დაიწყოს იმის მტკიცება, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალას არასოდეს გამოიყენებს, მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს, როგორ ამბობდა იგივეს სააკაშვილი 2008 წლის აგვისტომდე?! სამწუხაროდ, სააკაშვილის სიტყვაზე ნდობა არ შეიძლება, რაც არაერთხელ დადასტურდა. აქედან გამომდინარე, ქართული მხრიდან თავდაუსხმელობის განზრახვას მაშინ დავიჯერებთ, როდესაც ეს თავდაუსხმელობა იურიდიულად გაფორმდება. მანამდე კი აფხაზებსა და ოსებს ბედის ანაბარად არ დავტოვებთ. გარდა ამისა, ისინი უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკები არიან და როგორც ხედავთ, მათი აღიარებაც დაწყებულია.

***— მაგრამ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებიდან ორი წლის განმავლობაში ისინი მხოლოდ ვენესუელამ, ნიკარაგუამ და ნაურუმ აღიარეს.... შეიძლება, აღიარების პროცესს „წარმატებული“ ეწოდოს?***

— როგორც იცით, საბჭოთა კავშირის აღიარების პროცესი დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა. ინგლისის მხრიდან საბჭოთა კავშირის პირველი აღიარებაც ძალიან, ძალიან ბევრი წლის შემდეგ მოვიდა. ასევე არ უღიარებია ჯერჯერობით ბევრ ქვეყანას კოსოვო. ასე რომ, ამ საკითხის მნიშვნელობის გაზვიადება არ ღირს. საერთოდ, ვინ უნდა ჩაითვალოს აღიარებულად ან არაღიარებულად, იურისტები შემდეგნაირად საზღვრავენ: პრინციპში, ქვეყანა ითვლება აღიარებულად, თუ მის შესახებ მთელი გენერალური ასამბლეა საუბრობს. ჩრდილოეთ კვიპროსი მხოლოდ ერთმა ქვეყანამ — თურქეთმა აღიარა, მაგრამ რა? ეს რა, მისთვის უარესია?! მსგავს სიტუაციაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური კუთხით მხოლოდ რუსეთის აღიარება სრულიად საკმარისი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს რესპუბლიკები ასევე აღიარეს ვენესუელამ, ნიკარაგუამ და ნაურუმ. სიმართლე გითხრათ, თავიდან ჩვენც ვფიქრობდით, რომ ნაურუს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება ხუმრობა იყო. მე გიამბობთ ამ ისტორიას: როდესაც ნაურუს მხრიდან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ნაურუს მინისტრის ვიზიტის შესახებ თხოვნა შემოვიდა, არ ვიცოდით, რა უნდა გვეპასუხა, მაგრამ უარს ხომ ვერ ვეტყოდით?! ჩამოვიდნენ და მოყვნენ საკუთარ სევდიან ისტორიას: „ჩვენ პატარა რესპუბლიკა ვართ, რომელიც მთელი ცხოვრება კრედიტებით ცხოვრობს. ურთიერთობებს ვამყარებთ უახლოეს პარტნიორებთან, თუმცა ასე ეკონომიკური კრიზისიდან ვერასოდეს გამოვალთო“. როგორც ჩანს, მათ სადღაც წაიკითხეს, რომ რუსეთს ასეთი პრობლემა აქვს, ჩამოვიდნენ და გვითხრეს, რომ სურთ, სხვა დონეზე გავიდნენ, თორემ დაიღუპებიან. მათ შემოგვთავაზეს ურთიერთობების განვითარება და დეკლარაციის გაფორმება. გვითხრეს ასევე, რომ რუსეთს პრობლემა აქვს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების კუთხით და ისინი მზად არიან, ეს რესპუბლიკები აღიარონ. გვითხრეს ისიც, რომ კარგი ურთიერთობა აქვთ სხვა ქვეყნებთან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაურუ გაეროს წევრია. ჩვენ ეს ყველაფერი გავაანალიზეთ და ცუდი ვერაფერი დავინახეთ. ოკეანეს ამ ნაწილის მიმართ რაიმე განსაკუთრებული ინტერესი არ გვაქვს. მართალია, ოდესღაც იქ თევზსაჭერი ფლოტი ბაზირებდა და ეს მომგებიანი იყო, თუმცა სერიოზული ინტერესი არ არსებობდა. ეს პატარა აღიარება საერთაშორისო არენაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოზიციას ამყარებს. მსგავსი შემოთავაზებები სხვა ქვეყნებიდანაც გვქონდა. გვეუბნებოდნენ, რომ თუ გადავიხდიდით, ისინი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აღიარებდნენ. გულწრფელად გეტყვით, ასეთი ქვეყნები ბევრი იყო.

***— იქნებ, ასევე გულწრფელად დაასახელოთ თუნდაც ერთი...***

— რა თქმა უნდა, არ დავასახელებ. გეტყვით მხოლოდ, რომ ეს სახელმწიფოები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მდებარეობს. ისიც შემიძლია, გითხრათ, რომ ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნები არ არიან. ეს სახელმწიფოები ძალიან შორსაა! მცდელობები იყო, თუმცა ჩვენ ამაზე უარი ვთქვით. ნაურუს მსგავსი ქვეყნების აღიარებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს გაეროს წევრებად ვერ აქცევს, თუმცა ისინი შეიძლება, იმ რიგი ფინანსური ორგანიზაციების წევრები გახდნენ, რომელში გაწევრებაც გაეროს წევრობას არ მოითხოვს. ეტაპობრივად მათ ირგვლივ სიტუაცია დარეგულირებდა.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ ამერიკის ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ საქართველოს მიმართ ინტერესი დაკარგა, თუმცა ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ახალმა ხელისუფლებამ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაცია „ოკუპაციად“ და „შეჭრად“ შეაფასა...***

— აშშ-მა ეს ტერმინი სრულიად არასწორად გამოიყენა. თუ იურიდიულ ლექსიკონს გადავხედავთ, იქ განმარტებულია, რას ნიშნავს ოკუპაცია. ეს არის ომის დროს ტერიტორიის დროებითი დაკავება და სამხედრო წყობილების დამყარება. აქ საომარი მდგომარეობა დიდი ხანია, დასრულდა და არც სამხედრო ადმინისტრაციაა. ამ სახელმწიფოებს თავისი პარლამენტები აქვთ. ჩვენ კი მათ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მოქმედებაზე თანხმობა გვაქვს მიღებული. აქედან გამომდინარე, ამ ყველაფერს აღნიშნული ტერმინი არ ესადაგება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგვიძლია, რუმინეთში ამერიკული ბაზების ყოფნასაც „ოკუპაცია“ ვუწოდოთ.

***— საუბრის ბოლოს რუსეთ-საქართველოს დიალოგის პერსპექტივებს მინდა, დავუბრუნდეთ. თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ, რომ რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებებს ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე არ დაიწყებს. გამოდის, ახლა რუსეთი აყენებს პირობებს...***

— მოლაპარაკებების დასაწყებად საჭიროა კონსტრუქციულობა, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ კრიტიკული რიტორიკა ისმის, თითქოს ყველაფერში რუსეთია დამნაშავე. ქართულ მხარეს ტალიავინის კომისიის დასკვნის აღიარების სურვილიც კი არ აქვს, სადაც წერია, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ურთიერთობების აღსადგენად აუცილებელია, შესაბამისი წინაპირობები და კონსტრუქციული რიტორიკა არსებობდეს და არა დაუსრულებელი ბრალდებები. როდესაც რუსეთის ხელისუფლება მისი მისამართით მუდმივად მხოლოდ შეურაცხყოფას ისმენს, როგორ შეიძლება, მოლაპარაკებები დაიწყოს?! ჩვენ ხომ პროფესიონალები ვართ და ვიცით, რომ ურთიერთობების დამყარების საქმე ძალიან სათუთი საკითხია! მსგავს სიტუაციაში მაღალი ტრიბუნიდან ნათქვამ ნებისმიერ სიტყვას სერიოზული მნიშვნელობა აქვს, მიხეილ ნიკალაევიჩის საუბარი კი სცდება იმ ჩარჩოს, რომლითაც ნორმალური პოლიტიკოსები საუბრობენ. საქართველოს ხელისუფლებამ მის მიერ შემუშავებული სახელმწიფო სტატეგია რატომღაც გასაცნობად დასავლეთში წაიღო, იმის ნაცვლად, რომ აფხაზებისა და ოსებისთვის გაეცნო. საქართველომ ურთიერთობები, პირველ რიგში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან უნდა დაამყაროს.

**ლევან ჭითანავა**

№ 186. ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 2010 წელი.

## ჩვენი ბიბლიოთეკა

მოგვმა რაღაც გაურკვევლად გააქნია ხელი, რისი ახსნაც თემის შეცვლის თხოვნად შეიძლებოდა. ის ამწუთას, ალბათ, იმასვე ფიქრობდა, რასაც ბრიდა ჩაეგდო საგონებელში: რა ძნელია შენს შეხვედრილ სხვა ნაწილთან ისევ განშორება. და ბრიდამ წარმოიდგინა, როგორ გააბოტებდა მოგვი მარტო ახლა შინ და როგორ შეეკითხებოდა მასზე თავის თავს, ის როდისღა დაბრუნდებაო. ის კი, რა თქმა უნდა, დაბრუნდებოდა, რადგან აგრე უბრძანებდა გული, მაგრამ მარტოობა ბევრად ძნელი გადასატანია ტყეში, ვიდრე სადმე დიდ ქალაქში.

– არ ვიცი, უგრძნეულოდ ჩნდება თუ არა სიყვარული, – განაგრძობდა ბრიდა. – მაგრამ ვიცი, რომ გულის კარი ღია მაქვს იმისთვის. მზად ვარ შესახვედრად.

ტაქსი ჩამოდგა. ბრიდამ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მოგვს და შეამჩნია, რომ ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

– მეც მზად ვარ სიყვარულისთვის, – მარტო ესღა თქვა მოგვმა.

Pარგა მოზრდილი სამზარეულოს გაწკრიალებულ შუშებში მზე უხვად ატანდა.

– როგორ გეძინა, შვილო?

დედამ მაგიდაზე ცხელი შოკოლადის ფინჯანი, გახუხული პური და ყველი დააწყო და ქურას მიუბრუნდა ბეკონიანი ერბოკვერცხის შესაწვავად.

– კარგად. ჩემი კაბა მზად არის? ზეგინდელი დღესასწაულისთვის დამჭირდება.

დედამ ერბოკვერცხი მოუტანა და თვითონაც მაგიდას მიუჯდა. მან იცოდა და ხედავდა კიდეც, რომ შვილის თავს რაღაც უცნაური რამ ამბავი ტრიალებდა, მაგრამ შველა, ხელის შეწევნა არ შეეძლო. და დღეს ისე უნდოდა ლაპარაკი, როგორც ადრე არ დალაპარაკებოდა არასოდეს, არადა ვერ გაებედა. წუხდა, ძალიან აშინებდა შვილის ბედი. დედის გული გრძნობდა, რომ შვილს ახალი, უცნობი სამყარო უხმობდა, და ის მარტო შედიოდა იქ.

– მაინც როგორ არის ჩემი კაბის საქმე, დე? – ცდით ჰკითხა ბრიდამ. – როდის გექნება მზად?

– სადილობისთვის მოგისწრებ, – მიუგო დედამ, და თავი ბედნიერად იგრძნო, რაკიღა ამის თქმის საშუალება მიეცა: ცხოვრება რაღაცით მაინც კვლავინდელი რჩებოდა, და დედებს შეძლებისდაგვარად თავიანთი შვილებისთვის ხელის წაშველება ძალედვათ. დედა ცოტა კი შეჭოჭმანდა, მაგრამ მაინც ჰკითხა:

– ლორენსი როგორ არის?

– კარგად. საღამოთი შემომივლის.

დედას ცოტა მოეშვა გულზე, მაგრამ ერთდროულად ნაღველიც შემოაწვა: გულის ფორიაქმა დიდი ტკივილი იცის, და რა კარგია, რომ ბრიდა ჯერ არ დაუტანია. მეორე მხრივ კი, მხოლოდ მაშინ შეძლებდა დახმარებას რჩევით, მონაწილეობით, საქმით, რამეთუ რაერთი საუკუნეც არ უნდა გამოხდეს, სიყვარული მუდმივად ოდინდელი დარჩება.

დედა და შვილი სასეირნოდ გავიდნენ თავიანთ პატარა ქალაქში, სადაც ბრიდას ბავშვობამ განვლო. ირგვლივ იგივე სახლები იდგნენ, ადამიანები იმავე საქმეებს მისდევდნენ. ბრიდა რამდენიმე ყოფილ თანაკლასელს შეხვდა, რომლებიც იმჟამად ბანკის ერთადერთ განყოფილებაში ანდა საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში მუშაობდნენ. ყველანი კეთილად მიეგამარჯვებოდნენ: ზოგთ უკვირდათ, როგორ გაზრდილაო, ზოგნიც აღნიშნავდნენ, როგორ დამშვენებულაო. დილის ათ საათზე ჩაი იმ რესტორანში დალიეს, სადაც დედა, სანამ თავის მომავალ ქმარს გაეცნობოდა, შაბათობით დაიარებოდა მოულოდნელი შეხვედრის იმედით, ანაზდეული სიყვარულისა და იმ სასწაულის მოხდენის იმედით, რომელი სასწაულიც ერთბაშად მოუღებდა ბოლოს ერთმანეთისგან არცრით განსხვავებულ დღეთა ერთფეროვნებას.

ისინი იქაურთა ცხოვრებაში მომხდარ ახალ ამბებზე საუბრობდნენ, და დედას უხაროდა, რომ ბრიდას ეს კვლავ ეგულისყურებოდა.

– კაბა დღეს დამჭირდება, – თქვა ბრიდამ.

ის რაღაც მოუსვენრად იყო, მაგრამ არა მარტო კაბისა გამო – მან იცოდა, რომ დედა ნემსის ყუნწში გაძვრებოდა და მაინც შეუსრულებდა თხოვნას.

და დედამ ბოლოსა და ბოლოს გაბედა და ის ჰკითხა, რაც სულ მუდამ სძულდათ და სძულთ შვილებს, რომელთაც ჰგონიათ, დამოუკიდებელნი და თავისუფალნი ვართო, ჩვენს პრობლემებს ჩვენ თვითონ მივხედავთო.

– რამე ხომ არ შეგემთხვა, შვილო?

– ერთბაშად ორი კაცი თუ გყვარებია, დე? – ბრიდას ხმაში ერთგვარი გამოწვევა ისმოდა, ვითომ ცხოვრებას მარტო იმისთვის დაეგო მახე.

დედამ ნამცხვრის ნაჭერი ჩაიში ამოაწო და პიწკად ჩაიდო პირში. თვალებს ისეთნაირად აფაციცებდა, თითქმის დაკარგულ დროს ეძებსო თითქოს.

– ჰო, ეგეთი შემთხვევაც მქონია.

ბრიდა გაკვირვებული მიაჩერდა.

დედამ გაუღიმა და, ცოტაც ვისეირნოთო, შესთავაზა.

– მამაშენი ჩემი პირველი და ყველაზე ძლიერი სიყვარული იყო, – ალაპარაკდა იგი, რესტორნიდან რომ გამოვიდნენ. – ბედნიერი ცოლი ვიყავი. ყველაფერი მქონდა, თუკი რამეზე მეოცნება. მაშინ ბევრად ახალგაზრდა ვიყავი, ვიდრე შენა ხარ ახლა. იმხანად მეცა და ჩემს დაქალებსაც გვწამდა, რომ ცხოვრების ერთადერთი აზრი სიყვარულია. ვინც სიყვარულს არ შეხვედრია, ტყუილად ჰგონია, ოცნებებს ავიხდენო...

– თან საქმე, დე, – მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა ბრიდამ.

– ოცნებები მეცა მქონდა, გენაცვალე, თანაც სულ სხვადასხვაგვარი. ვოცნებობდი, მაგალითად, იმაზე, რაც შენ მოგიხერხდა – ვოცნებობდი დიდ ქალაქში წასვლაზე, იმ სოფელ-ქვეყნის გაცნობაზე, ჩვენი სოფლის გარეთ რომ იყო. ჩემი მშობლები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამიშვებდნენ, თუკი დავარწმუნებდი, რომ უნივერსიტეტში შესვლა და სწავლა მეწადა. ვინ იცის, რამდენი ღამე დამთენებია თეთრად იმის ფიქრში, როგორ დამეყოლიებინა ისინი. თითოეულ სიტყვას ვწონიდი, გა-




მოცნობას ვცდილობდი, რას მიპასუხებდნენ, რა არი წინასწარ მცოდნოდა, რა საწინააღმდეგო აზრი უნდა დამეპირისპირებინა.

ბრიდა პირველად უსმენდა აგრე ენად გაკრეფილ დედას. უსმენდა და ერთბაშად სინაზესაც გრძნობდა იმის მიმართ და ჯავრიც მოსდიოდა თავის თავზე. ხომ შეიძლებოდა რომ ამ დღის მსგავსად ადრეც დალაპარაკებოდნენ აგრე ერთმანეთს, მაგრამ დედაცა და შვილიც ცალ-ცალკე სამყაროებში ცხოვრობდნენ და ფასეულობათაც სხვადასხვას აღიარებდნენ.

– და აი ჩემს მშობლებთან ამ ლაპარაკამდე ორი დღით ადრე გავიცანი მამაშენი. თვალებში ჩავხედე, რაღაც განსაკუთრებულად უბრწყინავდნენ. ისე ჩავხედე, თითქოსდა ამქვეყნად ყველაზე სასურველ ადამიანს შევხვდი.

– ეგ ჩემთვის ნაცნობი ამბავია...

– ერთი სიტყვით, დავინახე თუ არა, მივხვდი, ჩემი ძებნაძიება დამთავრდა-მეთქი. უკვე აღარ მჭირდებოდა სოფელქვეყნის ახსნა-განმარტება, აღარც იმის გამო ვიყავი გულნაკლულად, რომ სადღაც გადაკარგულში, ყრუ, ბიაბან ადგილას ვცხოვრობდი, დღენიადაგ ერთსა და იმავეს ვაკეთებდი, ერთსა და იმავე ადამიანთ ვხედავდი. იმიერიდან ჩემი დღეები ერთმანეთს აღარა ჰგავდნენ, იმიტომ რომ მე და მამაშენს უზომოდ გვიყვარდა ერთიმეორე. მალე ნიშანიც მომიტანა და ჯვარიც დავიწერეთ. ერთხელ რა არი, ერთხელაც არ დამცდენია, დიდ ქალაქში ცხოვრებაზე ვოცნებობდი-მეთქი, სოფელ-ქვეყნისა და სხვა ხალხის ნახვა მინდა-მეთქი. რამეთუ სრულიად ეს ქვეყნიერება ჩვენს პატარა სოფელში მოთავსდა. სიყვარულმა ამიხსნა ჩემი წუთისოფელი.

– შენ სხვაც ახსენე, დე...

– წავიდეთ, რაღაც უნდა გიჩვენო, – მან მხოლოდ ესღა მიუგო.

Dედა და შვილი სტოას მიადგნენ, ტაძრის გადახურულ შესასვლელს, რომლის საფეხურთაც დაბაში ერთადერთი კათოლიკური ეკლესიის ბჭეკართან მივყავდით. ეს ეკლესია ძველ დროში, ოდეს ამ მხარეში რელიგიური ომები მძვინვარებდნენ, მრავალგზის დაენგრიათ კიდეც და აღედგინათ კიდეც. ყოველ კვირიაკეს დადიოდა ბრიდა აქ მესაზე, და ბავშვობაში ამ მაღალ და დაცერებულ საფეხურებზე ბლოტიალი თუ ცოცვა ნამდვილი გამოცდა იყო. სუყოველ აღსავალს, ანუ კიბის საფეხურთა გარკვეულ რაოდენობას, პატარა ბაქანი მოსდევდა: სადაც წმინდანთა ალალმებს მოატანდით თვალს: მარჯვნივ – მოციქულ პავლესას, მარცხნივ – მოციქულ პეტრესას, კარგა გვარიანად შელანძღულთ დროისგანაც და ტურისტთა ცნობისმოყვარეობისგანაც. სტოა დაცვივნული ფოთლით იყო მოფენილი, თითქოს კარს მომდგარი გაზაფხულის ნაცვლად დაბაში შემოდგომა დაბრუნებულიყო.

ეკლესია მაღალზე იყო და იმ ადგილიდან არა ჩანდა, სადაც დედა-შვილი იდგა, – ხეები ეფარებოდნენ. დედა პირველსავე საფეხურზე ჩამოჯდა და ხელის მოძრაობით ანიშნა ბრიდას, შენც დაჯექიო.

– ის ამბავი აქ მოხდა, – თქვა მან. – ერთხელ, ახლა უკვე აღარ მახსოვს, თუ რატომ, სალოცავად დღე გადავწყვიტე სახლიდან გამოსვლა. მარტო ყოფნა მინდოდა, არცვინ ხელს არ შემიშლის, ვილოცებ და ჩემს ცხოვრებაზე წყნარად ვიფიქრებ-მეთქი. საამისო ადგილად კი ეს ეკლესია ავირჩიე.

და აი სწორედ მაგ ადგილას, სადაც ახლა შენა ზიხარ, ერთ უცხოტომელ კაცს შევხვდი. მანდ იჯდა, გვერდით ორი ჩემოდანი ედგა და დაბნეული სახით ამაოდ ცდილობდა რაღაცის პოვნას წიგნში, რომელიც ხელში ეჭირა. თავიდან მეგონა, გზამკვლევს რასმე ფურცლავს, სასტუმროს თუ ეძებს-მეთქი, და ახლოს მივედი, გამოველაპარაკე. პირველად თავი ისე ეჭირა, ერთგვარად შებოჭილი და გულჩათხრობილი ჩანდა, მაგრამ მერმე ცოტ-ცოტა ალაპარაკდა.

თურმე სულაც გზა არ აბნეოდა. არქეოლოგი იყო, ჩრდილოეთში მიდიოდა, სადაც რაღაც გათხრები წარმოებდა, მაგრამ ძრავა ჩაჰქრობოდა. მექანიკოსი უკვე გამოძახებული ჰყავდა, თვითონ კი, სანამ ის გამოჩნდებოდა, ჩვენი ეკლესიის დათვალიერება გადაეწყვიტა. და დამიწყო გამოკითხვა ამ ჩვენს დაბაზე. მერმე ახლა, აქ გარშემო რა სოფლებიაო, დაგულისყურდა, რა ისტორიული ღირსშესანიშნაობანიაო.

და ეგრევე მივხვდი, რომ, თუ რამ მაფიქრებდა და მაფორიაქებდა, თუ რამ მთელი დღე მოსვენებას მიკარგავდა, რაღაც ჯადოსნურმა ძალამ ერთბაშად გამიქრო. თავი საჭირო ადამიანად ვიგრძენი და რაც რამე ვიცოდი, ყველაფრის მოყოლა დავუწყე. თან უცებ გულისხმაში ჩავვარდი, რომ აქ გატარებულმა წლებმა აზრი შეიძინეს. ჩემ წინ იდგა კაცი, რომელიც ცალკეულ ადამიანთაც სწავლობდა და მთელ ხალხთაც და ხელეწიფებოდა, რომ მომავალ თაობათათვის შეენახა, რამდენი თაობაც არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერი, რაც გამეგონა ანდა ჩემთვის თუ რამ აღმომეჩინა ბავშვობაში. მან შემაგნებინა, რაოდენ საჭირო ვარ სოფელ-ქვეყნისთვისაც და ჩემი ქვეყნის ისტორიისთვისაც. გეუბნები, ვიგრძენი-მეთქი, რომ საჭირო ადამიანი გავხდი, ეს კი ადამიანისთვის ბოძებული ერთ-ერთი ყოვლის უფრო საამო გრძნობაა.

როცა ყველაფერი ჩავუწიგნე, რაც ამ ეკლესიაზე ვიცოდი, საუბარი ახლა სხვა თემებს შეეხო. ამ ჩემი პატარა ქალაქით ვამაყობ-მეთქი, რომ ვუთხარი, ჩემი ნათქვამის პასუხად მან ერთი რომელიღაც მწერლის ციტატა მომიყვანა – ვიღაცა ვიღაცას ეუბნება: „შენი სოფელი მთელ ქვეყნიერებას ჩვენს მორჩილსა ხდისო“. თვითონ იმ მწერალს რა ერქვა, აღარ მახსოვს.

– ეგ ლევ ტოლსტოია, – თქვა ბრიდამ.

მაგრამ დედას შვილის ნათქვამი არ გაუგონია. ახლა ისიც დროში იყო ამგზავრებული, რაც არაერთხელ თვითონ ბრიდასაც დამართოდა. დედა სულაც არ საჭიროებდა ცაში მოლივლივე ტაძართ, ჭერიდან ძირამდის არა ერთი და ორი ათასი დამტვერილი ფოლიანტით შეხურხლულ მიწისქვეშა წიგნთსაცავთ, – საკმარისი იყო მოგონება გაზაფხულის ერთ დღესა და ჩემოდნებიან კაცზე, რომელსაც კიბის ძირას ჩაემუხლა.

– კარგა დიდხანს ვილაპარაკეთ. წასვლით არსად არ მეჩქარებოდა და თუნდაც მთელი დღე შემეძლო იმასთან ყოფნა. თუმცა აგერ-აგერ ეგება მექანიკოსი წამოგვდგომოდა თავზე. და ამიტომ ყოველი წუთის გამოყენებას ვცდილობდი. ვიდექი და ვეკითხებოდი თავის საქმიანობაზე, გათხრებზე, ისიც კი ვუთხარი, აწმყოში გარდასულის ძიება თავისებური გამოწვევაა-მეთქი. ის თავის მხრივ იმ ძველ მეომართა, ბრძენკაცთა და მეკობრეთა ამბავს მიყვებოდა, ოდესღაც ჩვენს მხარეში რომ ყოფილან.

როცა უცებ გამახსენდა, რომ წასასვლელი ვიყავი, მზე უკვე ცისკიდურზე ეკიდა, და მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე დროს არასოდეს აგრე სწრაფად და შეუმჩნევლად არ გაევლო.

ქართულად გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181, 184-185.

ველოსპორტი

# ასკურავა – სრული სვლით



**საქართველოში ოდესღაც ორი ძალიან კარგი ტრეკი გვქონდა, რომლებზეც საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებიც იმართებოდა. გამოხდა ხანი და უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ ტრეკს საბურთალოს სასაფლაო დაეუფლა, კამოს ქუჩისა კი მშენებლებმა ჩაიგდეს ხელთ. მის ნაცვლად დიდ დიღომში აშენდა ახალი სარბიელი, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით: ტრეკი 200-მეტრიანია (250-ის ნაცვლად), არენა – გადაუხურავი, დამხმარე სათავსოები არ აქვს და საფარის გარშემო ტერიტორია მოუასფალტებელია.**

აი, ამ ტრეკზე გაიმართა საქართველოს 2010 წლის ჩემპიონატი (მსგავსი შეჯიბრება ორი წელიწადია, არ ჩატარებულა), რომელშიც 15 სპორტსმენი ჩაება. ადგილიდან 200 მეტრზე რბოლაში, სპრინტსა და 1000 მეტრზე ჰიტში ადგილები ასე განაწილდა: 1. დავით ასკურავა, 2. გიორგი ნადირაძე, 3. ნოდარ ყვავაძე. გამოდევნებით 4 კილომეტრზე რბოლაშიც ასკურავამ გაიმარჯვა. მეორე ადგილზე აქაც ნადირაძე გავიდა, მესამე ადგილი არჩილ მახარაშვილს ხვდა.

**ლაშა დიდია**

ადამიანი დროში

# ეს „ჩელეა“



**თბილისის „დინამოს“ არაერთი გამორჩეული პენალტისტი ჰყოლია, მაგრამ, დაგვეთანხმებით, რევაზ ჩელებაძე მაინც სხვა იყო. ჩვენთვის დღესაც გამოცანად რჩება, როგორ ახერხებდა იგი მეტოქეთა მეკარეების ერთ კუთხეში გასტყუმრებას, ხოლო ბურთის საპირისპირო მხარეს, თანაც დამცინავად ნელი ტემპით გაგზავნას. ალბათ, არც არასოდეს გაგვიმხელს გულშემატკივართათვის საყვარელი „ჩელე“, რომელიც უკვე 55 წლისაა, მაინც რაში უნდა გვეძებნა მის მიერ დიდოსტატურად შესრულებული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების საიდუმლო. მოდით, ნურც ჩვენ ჩავეძიებით – დაე, იგი ქობულეთელი ბომბარდირის საფირმო ნიშნად დარჩეს.**

„თეთრ-ლურჯთა“ ყველაზე ბარაქიანი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს საამაყო სხვაც ბევრი აქვს – მაგალითად, თანაკლუბელთა პირველი სათასო ტრიუმფის ფინალურ მატჩში ერევნის „არარატის“ კარში გატანილი გოლი და მოსკოვის ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც რიო-დე-ჟანეიროს სახელგანთქმულ „მარაკანას“ სტადიონზე გამოსვლის პატივი გვესახება, რაც მის თანამემამულეთაგან თითზე ჩამოსათვლელებს თუ ღირსებიათ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების გამარჯვებულსა და არაერთგზის პრიზიორს, ევროპის თასების თასის მფლობელს თამაშის სტილიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჰქონდა. აბა, გაიხსენეთ, ვის ეხერხებოდა მისებრ ბურთის კორპუსით დაფარვა. ბუნებრივია, ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში კურიოზების თაიგული დაუგროვდა. თუნდაც ერევანში პრინციპული მეტოქის ცარიელი კარისკენ არაზუსტად გაგზავნილი ბურთი რად ღირს, ანდა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ქართული ფეხბურთის ბერმუხის შესახებ დასმული კითხვა – „ის თავგასიებული სად არისო“, რომელსაც თვით ადრესატი შეესწრო. ყოველ გატანილ გოლში ბიძები 20 მანეთს ჩუქნიანო, ესეც გვსმენია.

დღეს მამის გაკვალულ ბილიკს ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების წევრი გიორგი ჩელებაძე მიუყვება.

მრავალჟამიერ, „ჩელე“.

**გია პლატონიშვილი**

რაგბი

# კვარტეტი გაირკვა



**დასასრულს უახლოვდება საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობს. ჯგუფური შეჯიბრების დამთავრებამდე მოასპარეზეებს 2-2 მატჩი დარჩათ გასამართავი, თუმცა საპლეიოფე ოთხეულის ვინაობა უკვე გაირკვა.**

ეს ცნობილი გახდა მე-12 ტურის დამთავრების შემდეგ. „ვისოლიყოჩებმა“ შინ აუტსაიდერი „ბათუმი XV“ დაამარცხა 33:23 და 17 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ქვეყნის ჩემპიონი „ლელო“ ქუთაისის „აიასთან“ დამარცხდა 18:31, ხოლო „ლოკომოტივმა“ „არმაზს“ სძლია – 31:22. ამდენად, რკინიგზელებმა, ქუთაისელებმა და ლელოელებმა 16-16 ქულა მოაგროვეს და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. სწორედ ეს კვარტეტი მიიღებს მონაწილეობას პლეიოფში. ამ უფლების მოპოვების თეორიული შანსიც დაკარგა რუსთავის „ხარებმა“. მართალია, მან „აკადემიას“ 18:13 მოუგო, მაგრამ მხოლოდ 10 ქულის მოგროვება შეძლო.

ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის დამთავრებამდე დარჩენილი ორი ტური გაარკვევს, საუკეთესო ოთხეულში ვინ რა თანმიმდევრობით დაიკავებს ადგილებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან პლეიოფში პირველადგილოსანი მეოთხეს შეხვდება. გამარჯვებული დიდ ფინალში გადის, დანარჩენები კი საამისოდ ორ-ორ შეხვედრას გამართავენ.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# გადახალისებული შემადგენლობით



**ხასავიურტი (დაღესტანი) 15-17 ოქტომბერს თავისუფალ ჭიდაობაში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებას უმასპინძლებს. ტურნირში მასპინძლებთან ერთად, სავარაუდოდ, რუსეთის, საქართველოს, კუბის, ირანისა და თურქეთის წარმომადგენლები იჭიდავებენ.** ჩვენი გუნდი ამ შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით წარსდგება: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55კ, მალხაზ ზარქუა (60კ, შალვა მუზიაშვილი (66კ, დავით ხუციშვილი (74კ, დავით მარსაგიშვილი (84კ, ელიზბარ ოდიკაძე (96კ, გიორგი საკანდელიძე და დავით მოძმანაშვილი (ორივე – 120კ. ნაკრებს დავით ხურცია უხელმძღვანელებს. როგორც ხედავთ, ჩვენები ჩრდილოკავკასიაში გადახალისებული შემადგენლობით მიემგზავრებიან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბოლო ორწლიანი წარუმატებლობის შემდეგ გუნდს ახალი სისხლი სჭირდება, რათა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის ოპტიმალური შემადგენლობა შეირჩეს.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# დანაშაული და სასჯელი

**ახლახან ნიგერიულმა სასამართლომ იქაური ფეხბურთის ფედერაციის დემოკრატიულად არჩეულ ხელმძღვანელობას მოვალეობათა შესრულება აუკრძალა, ხოლო სპორტის მინისტრმა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის ნება დართო იმ გუნდებს, რომლებიც შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით დაბალ დივიზიონში დაქვეითდნენ.**

ბუნებრივია, ეს ნაბიჯები ფიფას მიერ მისი სუბიექტის საფეხბურთო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევად შეფასდა და სანქციამაც არ დააყოვნა – აღნიშნული აფრიკული ქვეყნის ნაკრებები და კლუბები საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა განუსაზღვრელი ვადით მოკვეთა საერთაშორისო ტურნირებიდან.




ინტერნეტიდან

## რა დროს ლუდია?!

**ბუნდესლიგის განვლილ შვიდ ტურში „ბაიერნმა“ მხოლოდ 5 გოლი გაიტანა და 8 გაუშვა, რის შედეგადაც მიუნხენური გიგანტი სატურნირო**



**ცხრილში მისთვის უჩვეულო მე-12 პოზიციამდე დაეშვა და სეზონის აღმოჩენას – ქულათა მაქსიმუმით გალიდერებულ „მაინცს“ მთელი 13 ქულით ჩამორჩება.**

განსაკუთრებით მწვავედ განიცადეს რეკორდმაისტერის შეფებმა პრინციპულ მეტოქესთან – დორტმუნდის „ბორუსიასთან“ უკანასკნელი მარცხი – 0:2. და აი, ქირურგიული ჩარევა არა, მაგრამ ერთ-ერთ სარიტუალო ტრადიციაზე უარის თქმა – გუნდის ჰოლანდიელმა თავკაცმა ლუი ვან გაალმა თავის მოთამაშეებს აუკრძალა ლუდის უძველეს ფესტივალ ოქტობერფესტში მონაწილეობა და იმ დღეს ვარჯიშში დაუნიშნა.

ეს იმ დროს, როცა ბავარიელებმა ჩემპიონთა ლიგის ორივე სასტარტო მატჩი მოიგეს.

## კასანდრას სილამაზის საიდუმლო

**ბევრს უკვირს, როგორ ინარჩუნებენ უფლისგან ბოძებულ სილამაზეს უამრავი ცხოვრებისეული საზრუნავით გადატვირთული მანდილოსნები, უკვე რამდენიმე ათეულ წელს რომ გადააბიჯეს.**

როგორც 31 წლის ამერიკელი მოდელი კასანდრა ლინი გვიმხელს, მისი მიმზიდველობის საიდუმლო სპორტს უკავშირდება, კერძოდ, რეგულარულად ვარჯიშობს ყვინთვასა და სნოუბორდში.



ვუსურვოთ ოკეანისგაღმელ მზეთუნახავს თავისი კერპის – პამელა ანდერსონის მსგავსი ხანგრძლივი კარიერა სამოდელო ბიზნესში, ოღონდ ვურჩიოთ, რომ სიფრთხილე დაიცვას აღნიშნული ექსტრემალური სახეობებით გატაცებისას.

სიკეთე

# საუკუნის ადამიანთა დღეს მიეძღვნა



**ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს საუკუნის ადამიანთა ასოციაცია „სავანეს" (პრეზიდენტი ხაჩატურ ვართანიანცი) ინიციატივით თბილისის ჭადრაკის სასახლეში ორი ღონისძიება გაიმართა.** ჯერ უხუცესი მოჭადრაკეები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. 6-6 ქულით, შესაბამისად, პირველი-მესამე ადგილები სერგო აგარიევმა, გოგი ალავერდაშვილმა და იური გასპაროვმა გაინაწილეს. შემდეგ მხცოვან ადამიანებს მიესალმნენ და დღესასწაული მიულოცეს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ თოიძემ, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა მერაბ ჩიქობავამ, დედაქალაქის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე მოსე მდინარაძემ. შეხვედრის დასასრულ ქართული ესტრადის ვარსკვლავების – ეკა მამალაძის, ირმა სოხაძის, მერაბ სეფაშვილისა და სხვათა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. იმავე დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე შეხვდა 104 წლის პელაგია დათუაშვილს, მის ვაჟიშვილს, 87 წლის გივი დათუაშვილსა და ხაჩატურ ვართანიანცს, რომლებიც საპატრიარქომ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

**ვაჟა დანელია**

მკითხველის სასიამოვნოდ

# თავშესაქცევად ნაკეთები კარგი საქმე




„რა გააძლიერებს ისე ადამიანს, თუ არ შეიქცია თავი რაიმეთი" – შეიძლება მუხრან მაჭავარიანის ეს სიტყვებიც მოუვიდა თავში ყოფილ მფრინავს **ტიტე კოპალეიშვილს,** როდესაც დამსახურებულ პენსიაზე გავიდა და თავშესაქცევად, საზოგადოებისთვის მეტად საინტერესო და, რაც მთავარია, სასარგებლო რამ მოიფიქრა: ნელ-ნელა, დაკვირვებით, რომ იტყვიან, გადაქექა პერიოდიკა, მოიძია უამრავი ინფორმაცია, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ფაქტები, რომელთაგან ბევრი საქართველოსაც უკავშირდება და ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით – **„ეს იცოდი?!"** შეიქმნა მეტად ორიგინალური, რაც მთავარია, საჭირო კრებული, რომლის სრულად გადაკითხვამ, როგორც შესავალში თვითონ ბატონი ტიტე წერს, არ შეიძლება არ იმოქმედოს მკითხველის არა მარტო ინტელექტზე, არამედ მის მსოფლმხედველობაზეც.

წიგნი დაყოფილია თავებად: „საინტერესო ისტორიული ფაქტები", „კაცობრიობის უდიდესი ისტორიული პირები", „ხალხთა ტრადიციები", „ხალხთა თქმულებები და ლეგენდები", „საინტერესო ფაქტები საქართველოსა და ქართველებზე", „უცნაური ამბები და საოცარი ფაქტები", „პროდუქტების წარმოების ისტორია" და ა. შ. და ა. შ. მოკლედ აქ ყველაფერია – ყველაფერზე და მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ ნიჭიერი კაცის – ტიტე კოპალეიშვილის მიმართ, რომელსაც მადლიანი ქვემოიმერული (წარმოშობით სამტრედიასთან ახლოს, სოფელ ეწერიდანაა) იუმორიც გვარიანად აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში და, რა გასაკვირია, რომ ამ „სერიოზული" მასალების გვერდით სხარტი, კასკასა ანეკდოტებიცა და იუმორიც უგროვებია და ისიც ცალკე წიგნად მოგვაწოდა: **„იცინეთ, იცინეთ, იცინეთ, თორემ"...**

ჰოდა, ერთ დროს (მთელი 27 წელიწადი) თუ ტიტე კოპალეიშვილს თვითმფრინავში, „თბილისი-მოსკოვის" მშვიდი რეისებით მგზავრები ჰყავდა მადლიერი, ამჯერად უამრავი მკითხველი დარჩება ნასიამოვნები მისი გამოცემული წიგნებით.




მე პირადად ცოტა ვიცოდი და ბევრი რამ გამაგებინა ამ წიგნებმა, ჩემო ტიტე, რისთვისაც, მხოლოდ და მხოლოდ დიდი მადლობა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჯანმრთელობა

# მომავალ თაობას სათვალეები აღარ დასჭირდება

ბავშვი პლუს კომპიუტერი უდრის პლუს-მინუს კარგ მხედველობას



**რომელმა მშობელმა არ იცის, რომ საოჯახო კომპიუტერი, და რა თქმა უნდა, ტელევიზორიც, ხშირად „განხეთქილების ვაშლი" ხდება თქვენსა და საკუთარ შვილებს შორის.**

**სწორედ ტელევიზორები და კომპიუტერები გახდნენ ამის მიზეზი, რომ ყოველ მეორე მოსწავლეს პატარაობიდანვე უკვე სჭირდება სათვალე.**

### უყურე და არ გარისკო

– მხედველობის გაუარესების პიკი მოდის უფროს კლასებზე, როდესაც ბავშვმა არა მარტო უნდა აითვისოს ახალი ცოდნა, არამედ უნდა ემზადებოდეს გამოცდებისთვის, – ამბობს საბავშვო ოფტალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ნანა თედიაშვილი** – ამ ბუნებრივ მომენტში გვღალატობს თვალი. ყველაფერი კი იწყება მხედველობითი გადაღლილობით. შემდეგ ეცემა მხედველობის სიმახვილე. თვალების დაღლილობა ხშირად გადადის ძლიერ თავის ტკივილში.

**– როგორ შევამციროთ ბავშვთა ახლომხედველობის რისკი?**

– ნუ მისცემთ ბავშვებს ნებას, მრავალი საათის განმავლობაში იჯდეს ტელევიზორის ეკრანთან და კომპიუტერთან. შეაჩვიეთ ბავშვი, დაღლილობის შესაბამისად, ჩაიტაროს თვალების გიმნასტიკა. დაარწმუნეთ იგი იკითხოს წიგნები მხოლოდ საწერ მაგიდასთან კარგი განათებით, სასურველია ბუნებრივი განათებით.

**– და რა, ეს გიმნასტიკური რეკომენდაციები საკმარისია?**

– არა. ამ ბოლო პერიოდში მედიცინამ გააფართოვა თვალის სნეულებათა პროფილაქტიკის საშუალებათა არსენალი. დამუშავებულია ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, რომლებიც უზრუნველყოფენ მხედველობის ორგანოს სრულფასოვან კვებას. ეს საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ თვალთან დაკავშირებული პრობლემები, თუნდაც დატვირთვა ძალიან დიდი იყოს.

**– ეს, ალბათ, ბიოლოგიურად აქტიური დანამატებია მოცვის საფუძველზე?**

– დიახ. მაგრამ გახსოვდეთ: საიმედო ბიოდანამატების კოლოფზე ზუსტად უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენია მასში ანტოციანი! და რაც მეტია ისინი, მით ეფექტიანია პრეპარატი. ეს თვალითაც შეიძლება განსაზღვრო. თუ „მოცვის" აბს გაკვნეტთ და მისი გული თეთრია, მაშასადამე, არის ეჭვის საბაბიც.

აი შეხედეთ ახალ პრეპარატს „მოცვის ოკულისტი". შეფუთვის ფირიდანაც კი ჩანს „მოცვის" მუქი ფერი, ანტოციანები მასში უხვადაა. ამას გარდა მათში ბევრია ვიტამინი და მიკროელემენტი, რომლებიც ყოველდღიური მიღების დროს უზრუნველყოფენ თვალების სრულფასოვან კვებას და მის სწორ მუშაობას. ამით თავიდან ვიცილებთ მხედველობის გადაღლას, მხედველობის სიმახვილის დაქვეითების რისკი არსებითად მცირდება.

**– ეს ადვილად ხელმისაწვდომი საშუალებაა?**



– სავსებით. მეცნიერები, ვინც ახალ პრეპარატს ქმნიდნენ, ფიქრობდნენ არა მხოლოდ მის ეფექტიანობაზე. მათ იცოდნენ, რომ ასეთი ბიოლოგიურად აქტიური დანამატის მიღება სჭირდება ყველას, მათ შორის ბავშვებსაც და მოხუცებსაც, ამიტომ ფიქრობდნენ მის ხელმისაწვდომობაზეც, სიიაფეზეც.

### როდესაც თვალებს დახმარება სჭირდებათ

**– რას ურჩევდით იმ ხალხს, ვინც განსაკუთრებული მხედველობითი დატვირთვის პირობებში მუშაობს?**

– არის ახალი თაობის პრეპარატი – „ოკულისტი". მის კაფსულებში არის ბიოფლავონოიდები – ეს არის ნივთიერება, რომელსაც ღებულობენ ციმბირული ფოთლოვანი მცენარისგან. ისინი აფართოებენ თვალის უწვრილეს სისხლძარღვებს, რომლებიც იხშობა სტრესების ან ადამიანის ასაკის გამო. და ასე უწყობს ხელს თვალის ნორმალურ მომარაგებას ჟანგბადით. მაშასადამე, ადამიანს დაუღალავად შეუძლია იმუშაოს გაცილებით უფრო დიდხანს. არის პრეპარატი ბეტა-კაროტინი, რომელიც უზრუნველყოფს სწორ ფერთა აღქმას და ბინდში კარგ ხედვას.

**– პროფესიონალი ოფთალმოლოგები იყენებენ ამ პრეპარატს?**

– დიახ. ჩვენ მას ვურთავთ ტრადიციულ მკურნალობას. შედეგიც სახეზეა. აკომოდაციის სპაზმებიან პატარა პაციენტებს აღენიშნებათ მხედველობის სიმახვილის ზრდა შემთხვევათა 98 პროცენტში. ახალი პრეპარატების წყალობით ახლომხედველ ბავშვებს მხედველობის სიმახვილე გაეზარდთ შემთხვევათა 87 პროცენტში.

დარწმუნებული ვარ, რომ „ოკულისტი" წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საშუალება, რომელიც ხელს უშლის პროგრესირებადი ახლომხედველობის წარმოქმნას. აგრეთვე მხედველობითი გადაღლილობის მწვავე ან ქრონიკული სინდრომის პაციენტების აღდგენითი მკურნალობის დროს.

**ნინო ცუცქირიძე**

**აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის ყოფილი დირექტორი, საქართველოსა და აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი**

**იური მებონია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

ინფორმაცია

# ხანძარმა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

**მცხეთის რაიონის სოფელ ახალდაბაში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ერთი ადამიანი დაიღუპა. ხანძარი ჯიქიძეების ერთსართულიან სახლში გაჩნდა. ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ მეხანძრეებმა ოჯახის უფროსის ნოდარ ჯიქიძის ცხედარი აღმოაჩინეს.**

არსებული ინფორმაციით, ცეცხლი სახლში მომხდარი აფეთქების შედეგად გაჩნდა, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ყვებიან, მათ ორი აფეთქების ხმა დაახლოებით დილის 5 საათზე გაიგონეს. ხანძრის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## როგორ დავიბრუნოთ მხედველობა უოპერაციოდ!

**ვარ 60 წლის. წლითიწლობით მიუარესდება მხედველობა. ძლიერდება შორსმხედველობა, პლუს მემღვრევა თვალის ბროლი – კატარაქტა. ამბობენ, რომ საჭიროა ოპერაცია. მაგრამ მეშინია: გამიგია, რომ ხშირად ხდება გართულება, თუ შეიძლება მხედველობის დაბრუნება უოპერაციოდ?**

გიორგი ქაჯაია, თელავი

**დიახ, ახლა ასეთი რამ შეიძლება უნიკალური ხელსაწყოს „გალაზომირის" საშუალებით.**

**ქირურგის ნებისმიერ ჩარევას, როგორც ცნობილია, თან ახლავს გარკვეული რისკი – ეს არის ადამიანობის ფაქტორიც, გართულებებიც. ხელსაწყო „გალაზომირი" ახდენს მხედველობის კორექტირებას უოპერაციოდ სპეციალური სამკურნალო სინათლის დახმარებით.**

**მას საფუძვლად უდევს ათასობით წლის განმავლობაში შემოწმებული მეთოდიკა და უკანასკნელი სამეცნიერო აღმოჩენები ბიონანოტექნოლოგიის დარგში. ხელსაწყო „გალაზომირში" შუქის ენერგია გარდაიქმნება ისეთ ფორმად, რომელიც საშუალებას იძლევა უმალვე და პრაქტიკულად დაუბრკოლებლად მოხვდეს დაავადებულ ორგანოს და გააჯანსაღოს იგი ყველაზე მცირე ნანოდონეზე.**

**„გალაზომირი" გამოიყენება კატარაქტის, გლაუკომის და თვალის დაავადებათა ყველა სხვა სახეობის დროს, დასმული დიაგნოზის მიუხედავად, როგორც დაავადების პირველი ნიშნების, ისე მოძველებულ ფორმებზე. ნებისმიერ ასაკში.**

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ტელეფონებით ცხელ ხაზზე: (495) 921-30-68; 8-800-200-20-09.**

## რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში"

99-62-77;

899 32-85-76.

გ. ახვლედიანის ქ. №19.

## ეკოლოგია

# წმ. ელენეს კუნძულის გადაშენებული ზეთისხილი და სხვ.

**დედამიწაზე სიცოცხლის საძირკვლის, ფლორის მეხუთედი ნაწილი, გადაშენების პირასაა მისული, — ეს სავალალო დასკვნა გამოიტანეს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (ბდსკძ, ბუნების ისტორიის მუზეუმისა და კიუს სამეფო ბოტანიკური ბაღის სპეციალისტებმა.**

მეცნიერებმა ოთხი ათასზე მეტი სახეობის მცენარე შეისწავლეს და დაადგინეს, რომ მათგან 22 პროცენტს გადაშენების საშიშროება ემუქრება. ამასთან, მეცნიერთათვის ცნობილ, დაახლოებით 380 ათასი სახეობის მცენარეთა უმეტეს ნაწილს გადაშენება არსებობის არეალის შემცირების გამო უწევს, რაც, ძირითადად, სოფლის მეურნეობის საჭიროებისთვის ტყეთა გადაწვას უკავშირდება. გადაშენების საშიშროების წინაშე განსაკუთრებით ტროპიკული მცენარეები აღმოჩნდნენ.



— თითოეული ჩვენი ჩასუნთქვა — ესაა მცენარეებთან ურთიერთობა, ჩვენ სრულიად მათზე ვართ დამოკიდებულნი, — აცხადებს კიუს ბოტანიკური ბაღის დირექტორი სტივენ ჰოპერი. — გულხელდაკრეფილები არ უნდა ველოდოთ, ვიდრე მცენარეები ერთიანად გაქრებიან, ისინი ხომ სუფთა ჰაერს, საკვებსა და საწვავს გვაძლევენ, — დასძენს მეცნიერი.

თუ აქამდე მეცნიერები უფრო მეტ ყურადღებას ცალკეულ რეგიონებს, ანდა შედარებით უფრო ფაფუკ მცენარეებს აქცევდნენ, ბოლო მასშტაბური გამოკვლევის ობიექტებად ხუთი ძირითადი ჯგუფის ნიმუშები აირჩიეს, რაც, სპეციალისტების აზრით, უფრო დასაბუთებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ანგარიში ბიოლოგიური მრავალსახეობის საკითხებისადმი მიძღვნილი გაეროს კონფერენციის გახსნამდე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნდა, რომელიც ოქტომბერში იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გაიმართება. კონფერენციის ფარგლებში, მინისტრთა დონეზე დაგეგმილია ფლორის დაცვის თაობაზე მიღებული გეგმების შეუსრულებლობის მიზეზთა განხილვა.

ბოტანიკოსები შიშობენ, რომ მცენარეთა მრავალი სახეობა შესაძლოა მათი თვისებების ძირფესვიანად შესწავლამდე გააქრეს, რის შედეგად ფარმაკოლოგია აუარება პოტენციურ სამკურნალო პრეპარატს დაკარგავს, რომელიც შეიძლება მათ საფუძველზე დამზადდეს. მრავალ განვითარებად ქვეყანაში მცენარეულ საფუძველზე დამზადებული წამლები ერთადერთ ხელმისაწვდომ მედიკამენტებს წარმოადგენენ, რომლებსაც ისეთი მძიმე დაავადებების მკურნალობისას იყენებენ, როგორებიცაა მალარია და ლეიკემია. მეორე საშიშროება კი იმასთანაა დაკავშირებული, რომ კაცობრიობა ასევე დიდადაა დამოკიდებული საკმაოდ მცირერიცხოვან მცენარეთა ჯგუფზე, რომლებსაც შეზღუდული გენეტიკური ბაზა აქვთ. კერძოდ, მსოფლიოში მოხმარებული ყველა კალორიის 80 პროცენტს ჩვენ მცენარეთა მხოლოდ 12 სახეობიდან ვიღებთ.



მეცნიერთა აზრით, გამოკვლევის შედეგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მუშაობას, რომელიც ინგლისში, საგრაფო სასექსის პარკ უეიკჰერსტის ათასწლეულის სათესლე ბანკში მიმდინარეობს, რომელიც, თავის მხრივ, კიუს სამეფო ბოტანიკური ბაღის ფილიალია. ათასწლეულის ბანკში უკვე ინახება მსოფლიოში გავრცელებულ მცენარეთა 1,8 მილიარდი სახეობის თესლი. ყველა ნიმუში კატალოგშია შეტანილი და გრილ მიწისქვეშა სათავსოებში მათი სიცოცხლისუნარიანობის მაქსიმალურად გასახანგრძლივებლად ინახება.

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ კოლექციაში ასევე უკვე გადაშენებულად მიჩნეულ მცენარეთა თესლი ინახება, არის აგრეთვე უკვე სრულიად გადაშენებული სამხრეთ ატლანტიკის წმინდა ელენეს კუნძულის ძველი ბინადრის ზეთისხილის გამხმარი ფოთლები და ამ გამქრალი ხის დნკ-ს პაწაწინა ნიმუში, რომელიც სავარაუდო „აღორძინებას“ საგანგებო საყინულეში ელის.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

## დღის კალენდარი — 6 ოქტომბერი

**მოციქულის თომასი პატიოსნისა (sic)**

**მუცლადღება პატიოსნისა, დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი; ღირსთა დედათა ქსანთიპასი და პოლიქსენიასი (I ს.); მოწამისა ირაიდა ქალწულისა (დაახლ. 308 წ.); მოწამეთა: ანდრიასი, იოანესი და ძეთა იოანესთა პეტრესი და ანტონინესი (IX ს.**



**ამოდის 06.03**
**ჩადის 17.35**



**ამოდის 04.12**
**ჩადის 16.27**

### დაიბადნენ:

**1773 — ფილიპ ლუისი,** საფრანგეთის მეფე. გარდაიცვალა 1850 წელს.
**1871 — ზაქარია ფალიაშვილი,** კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1933 წელს;
**1900 — ვერიკო ანჯაფარიძე,** მსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს;
**1973 — თამაზ ჩუტკერაშვილი,** სპორტსმენი, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში.

### მოვლენები:

**1812 წელი** — ნაპოლეონის არმიამ მოსკოვი დატოვა;
**1889 წელი** — პარიზში გაიხსნა კაბარე „მულენ რუჟი“;
**1927 წელი** — ნიუ იორკში პირველი ხმოვანი ფილმის პრემიერა გაიმართა.

**ღირსსახსოვარი დღე:**
**ეგვიპტე** — შეიარაღებული ძალების დღე.
**ავსტრალია** — შრომის დღე.
**ბარბადოსი** — გაერთიანებული ერების დღე.
**ლერატო** — სპორტის დღე.

**მელიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

აგარაკი ტაბახმელაში
ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8064 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4585 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8545 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9415 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9852 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2504 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2827 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2412 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7014 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +13 — +17 |
| ქუთაისი. | +14 — +20 |
| ბათუმი. | +11 — +14 |
| ზუგდიდი. | +12 — +15 |
| თელავი. | +12 — +15 |

## კადრი



## ანეკდოტები

დიდი და ცნობილი ბორდელის მფლობელი ჟურნალისტს ინტერვიუს აძლევს:
— ხომ ხედავთ, რა წარმატებებს მიაღწია ჩემმა დაწესებულებამ, არადა თავიდან სულ სამმა დავიწყეთ — მე, ჩემმა დამ და დედაჩემმა...

* * *

— როგორც იქნა, ჩემი მამამთილი ფრჩხილების კვნეტას გადავაჩვიე!
— როგორ?
— კბილები დავუმალე!

* * *

— ექიმო, იმ პაციენტს რა აწუხებს, ჩემს წინ რომ იყო?



— 50-ლარიანი, — უპასუხა ექიმმა.

* * *

ებრაელს ეკითხებიან:
— რატომ გაქვთ ასეთი პატარა ქვეყანა?
— დიდი რად გვინდა, იქ მაინც იშვიათად ჩავდივართ.

* * *

დიასახლისმა მოახლე დაითხოვა, გამწარებულმა მოახლემ მიახალა:
— თქვენ ავი, ბოროტი და უქნარა ქალი ხართ! ლოგინში კი მე ათი თავით გჯობივართ!
— ეგ ვინ გითხრა, შე გათახსირებულო, ჩემმა ქმარმა?
— არა თქვენმა მძღოლმა!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.